ალია

N27 /2957/ 21-24 თებერვალი 2014 წ
ფასი 70 თ
ორშაბათი ქრონიკა
სამშაბათი ალია
ოთხშაბათი ალია
ხუთშაბათი ალია
პარასკევი ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE
გამოდის 1995 წლიდან

## საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება „1-ლი არხის“ ბორდის თავმჯდომარის ფსიქიკური აშლილობის ფონზე



## რატომ გაახსენდა მაინცდამაინც ახლა „ოცნების“ მხარდამჭერები ღარიბაშვილს?





## ხელისუფლების რომელი წარმომადგენლები გაიშიფრებიან „ნაციონალებთან“ კავშირში?

## რა საიდუმლო შეხვედრა გაიმართა შსს-ში ჟურნალისტების საკითხზე?



## „აი-დი“ ბარათის ალტერნატიულ საბუთს დაუშვებენ?



## რატომ დაემთხვა ნათელაშვილის აშშ-ში ვიზიტი ღარიბაშვილისას?



## რატომ აღარ არის გიგი თევზაძე ილიას უნივერსიტეტის რექტორი?



## მერაბიშვილი თავის გადარჩენას ინგლისის, საფრანგეთის და გერმანიის კანონებით აპირებს?



## მომლოცველთათვის თბილისიდან მცხეთამდე სპეციალური მარშრუტები დაინიშნება

22 და 23 თებერვალს, დილის 06:00 საათიდან საღამოს 21:00 საათამდე თბილისიდან მცხეთის მიმართულებით 3 სპეციალური მარშრუტი დაინიშნება.

დედაქალაქის მერიის ცნობით, მოსახლეობა გადაადგილებას შეძლებს: დიდუბის მეტროს ზედა გასასვლელიდან, მეტროსადგურ „ვაგზლის მოედნის“ ავტობუსის გაჩერებიდან („თბილისის ცენტრალის“ წინ) და დიდი დიღმიდან („გუდვილის“ მიმდებარე ტერიტორია), სადაც მათ პირადი ავტომანქანების სადგომზე გაჩერება შეეძლებათ და მცხეთაში ავტობუსით გაემგზავრებიან.

მერიის ინფორმაციით, მგზავრობა განხორციელდება უფასოდ და ამ მომსახურებისთვის გამოყოფილი იქნება 140 ავტობუსი. (ინტერპრესნიუსი)

## აშშ-ში ღარიბაშვილის შეხვედრები ბოლომდე ცნობილი არ არის

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტის ფარგლებში სამუშაო შეხვედრებს თეთრ სახლში, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში, სენატსა და კონგრესში გამართავს.

მთავრობის კანცელარიის საგარეო საქმეთა დეპარტამენტის მრჩევლის დავით მაღრაძის განცხადებით: „დაგეგმილია უმნიშვნელოვანესი შეხვედრები რიგ თანამდებობის პირებთან. ვაშინგტონში სამუშაო შეხვედრები გაიმართება თეთრ სახლში, სახელმწიფო დეპარტამენტში, სენატსა და კონგრესში“.

გარდა ამისა, პრემიერ-მინისტრი შეხვედრებს გამართავს სხვადასხვა ორგანიზაციებში. „დაგეგმილია შეხვედრა ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციაში. პრემიერ-მინისტრი შეხვდება არასამთავრობო სექტორისა და კვლევითი ორგანიზაციების წარმომადგენლებს, მათ შორის ატლანტიკურ საბჭოში პრემიერ-მინისტრი საზოგადოებას სიტყვით მიმართავს. ასევე, შეხვედრები იგეგმება მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლებთან. „ვიზიტი იწვევს დიდ ინტერესს და დაგეგმილია შეხვედრები ამერიკული და მსოფლიო მედიის წარმომადგენლებთან“, – აღნიშნა მაღრაძემ. (ინტერპრესნიუსი)

ელიტ ელექტრონიქსი
ELIT ELECTRONICS

## საგადასახადოში „ელიტ ელექტრონიქსის“ 2007 წლის საქმიანობაში დარღვევები აღმოაჩინა

## საელჩო უკრაინაში მყოფ საქართველოს მოქალაქეებს აფრთხილებს



უკრაინაში მყოფ საქართველოს მოქალაქეებს საქართველოს საელჩო თავშეყრის ადგილებში გადაადგილებისგან თავშეკავებისკენ მოუწოდებს. უკრაინაში საქართველოს კონსულის, კონსტანტინე საბიაშვილის განცხადებით, საელჩოს ცხელ ხაზზე საქართველოს მოქალაქეები რეკავენ, თუმცა მასიური პანიკა არ იგრძნობა. მისივე ინფორმაციით, მოვლენები პირდაპირ ეთერში გადაიცემა და საქართველოს მოქალაქეები ორგანიზებულები და ინფორმირებულები არიან.

„ჯერ საგანგებო მდგომარეობა ოფიციალურად გამოცხადებული არ არის, მაგრამ სიტუაცია ძალიან რთული და უკონტროლოა. ყველას ვურჩევთ, რომ თავი შეიკავონ ქალაქის ცენტრალურ ადგილებში, არეულობების ეპიცენტრში გადაადგილებისგან", – აღნიშნა საბიაშვილმა.

მისივე ინფორმაციით, უკრაინაში საქართველოს საელჩო და საკონსულო კიევის ცენტრალურ რაიონში მდებარეობს, თუმცა ეს ტერიტორია შეტაკების ეპიცენტრი არ არის და თანამშრომლებს საფრთხე არ ემუქრებათ. როგორც საქართველოს კონსულმა აღნიშნა, დახურულია კანადის საელჩო, რომელიც მოვლენების ეპიცენტრთან ძალიან ახლოსაა. (ინტერპრესნიუსი)

# რატომ გაახსენდა მაინცდამაინც ახლა „ოცნების" მხარდამჭერები ღარიბაშვილს?

პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა 20 თებერვალს მიმართვა გაავრცელა, სადაც პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს" მხარდამჭერებს ბოდიშს უხდის მათ მიმართ გამოჩენილი უყურადღებობისთვის და მოუწოდებს, გვერდში დაუდგნენ მმართველ კოალიციას.



„გადავდივართ პარტიისა და მისი სტრუქტურების განახლების ახალ ეტაპზე და თქვენი მონაწილეობა ამ საქმეში პარტიის ხელმძღვანელობისთვის არის უაღრესად მნიშვნელოვანი. ჩვენ ვიცით, რომ ბევრ იმ ადამიანს, რომელიც პირველი დღიდან მონაწილეობდა პარტიის მშენებლობაში, აქვს განცდა, რომ თავდადება სათანადოდ არ დაუფასდათ. მინდა გითხრათ, რომ ეს იმ სირთულეების ბრალი იყო, რომლებიც ქვეყანამ გამოიარა. საბედნიეროდ, ეს სირთულეები ყველამ ერთად ღირსეულად გადავლახეთ. ამიტომ გარწმუნებთ, არც ერთი ადამიანი, რომელმაც ერთგულად და თავდაუზოგავად იშრომა, და პირდაპირ ვიტყვი, იბრძოლა ჩვენთან ერთად, უყურადღებოდ და გულნაკლული არ დარჩება". – განაცხადა ღარიბაშვილმა.

რატომ გაახსენდა პრემიერ-მინისტრსა და პარტიის თავმჯდომარეს თანამებრძოლები სწორედ ახლა, როცა პარტიისა და კოალიციის მიმართ „დაუფასებლობის" გამო პრეტენზიებს დიდი ხანია გამოთქვამენ? რეალურია თუ არა პარტიის ლიდერის ეს დაპირება?

**„ალიას" ესაუბრება პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე:**

– ვფიქრობ, ღარიბაშვილის ასეთი განაცხება იმით არის გამოწვეული, რომ „ქართულმა ოცნებამ" და კერძოდ ღარიბაშვილმა, შეამჩნიეს საზოგადოებაში გაზრდილი კრიტიკული დამოკიდებულება, შეამჩნიეს ისიც, რომ გახშირდა იმედგაცრუებაზე საუბარი. გარდა ამისა, „ქართული ოცნების" ბევრმა მხარდამჭერმა დაიჩივლა, რომ მისი „ქართული ოცნების" გვერდით დგომა არ დაფასდა სათანადო ყურადღებით. ზოგადად, დღეს მთავრობაში უყურადღებობის თემა და პრობლემა ნამდვილად არსებობს. ვფიქრობ, გრძელვადიანი იქნება ეს დაპირება. თუკი ეს დაპირება გრძელვადიანი არ იქნება და მხოლოდ საარჩევნოდ გადაიდგა რაიმე ნაბიჯები, მომავალი არჩევნებიც ხომ წინ არის? იქ კიდევ უფრო დიდი იქნება კრიტიკული დამოკიდებულება და დაპირებების არშესრულებაზე კიდევ უფრო მწვავე იქნება რეაქცია. ასე რომ, სასურველია, თუ აუცილებელი არა, რომ ის, რაც ითქვა ღარიბაშვილის ტექსტში, გახდეს მათი მუდმივი მდგომარეობა და არ იყოს სეზონური.

**— აქვს მმართველ პარტიას რესურსი, რომ ეს დაპირება შეასრულოს? წინააღმდეგ შემთხვევაში ხომ ახალ დაპირებაზე საზოგადოება აღარ ენდობა?**

– ამ დაპირებების შესრულების რესურსი მზამზარეულად დღეისთვის ნამდვილად არ არის. მაგრამ როდესაც პატარძალი ფეხმძიმედაა, ეს უკვე აჩენს იმ განწყობას ოჯახში, რომ ბედნიერება მოვა ახალი სიცოცხლის დაბადებით. რაღაც ნიშნები თუკი მიეცემა საზოგადოებას, რომ ამ რთული ამოცანების შემსრულებელი არის „ქართული ოცნება", ხალხი ამით უკვე კმაყოფილი იქნება. ყველა ამოცანის ბოლომდე გადაწყვეტის აუცილებლობა არჩევნებამდე ნამდვილად არ დგას, თუმცა პრობლემა ის არის, რომ ასეთ ნიშნებსაც ვერ ხედავს დღეს საზოგადოება.

**— ღარიბაშვილის ეს მოწოდება გახდება იმის წინაპირობა, რომ ხელისუფლება დაიწყებს ჯერ კიდევ ძველი დაპირებების შესრულებას?**

– იქნება თუ არა, ეს იმაზეა დამოკიდებული, რამდენად რეალურად აღიქვამს მის წინაშე მდგარ ამოცანებს „ქართული ოცნება". თუკი ხელისუფლებამ გააგრძელა ის კურსი, რაც ადრე ჰქონდა, როცა მიაჩნდა, რომ ყველაფერი კარგად არის და უშეცდომოდ მუშაობენ, მაშინ მმართველ პოლიტიკურ ძალას ძალიან მძიმე მომავალი ელის. გახსოვთ, ალბათ, ყოფილი პრემიერის, ბიძინა ივანიშვილის დამოკიდებულება ექსპერტებისა და ჟურნალისტების მიმართ. მისმა დამოკიდებულებამ მაშინ აჩვენა, რომ ხელისუფლებას ნამდვილად ასეთი კურსი ჰქონდა. კრიტიკის კრიტიკა იყო, ფაქტობრივად. თუკი ეს ტენდენცია გაგრძელდა და ამის ნიშნებიც არის, ძალიან რთულ სიტუაციაში ჩაიგდებს თავს ხელისუფლება მომავალი არჩევნებისთვის. „ნაციონალური მოძრაობა" მათ წინააღმდეგობას ნამდვილად ვერ გაუწევს, „ნაციონალების" მიმართ არ გამოკეთდება დამოკიდებულება, თუმცა ნებისმიერი ახალი გამოჩენილი ფიგურა, რომელიც იმედს გააჩენს საზოგადოებაში, წაიყვანს „ქართული ოცნების" მხარდამჭერებს. ხელისუფლება ამბობს, რომ ყველაფერი უცბად ვერ იქნება, მაგრამ კიდევ ერთხელ ვიმეორებ, საზოგადოებას თუ აგრძნობინებ მოძრაობას, სურვილს, მცდელობას დაპირებების შესრულებისა, ეს უკვე ნიშნავს იმას, რომ ხალხის დიდი ნაწილი ისევ შენი მხარდამჭერია. სამწუხაროდ, ამ მოძრაობას საზოგადოება დღეს ვერ გრძნობს. ბევრია დამოკიდებული იმაზეც, რამდენად აქვს ხელისუფლებას გაცნობიერებული საფრთხე, რომელიც შეიძლება წარმოიშვას დაპირებების შეუსრულებლობის შემთხვევაში. თუკი პრემიერი და მისი გუნდი ამ საფრთხეს ვერ გააცნობიერებს და რეალურად არ შეაფასებს პროცესს, მაშინ ის ძალიან დიდი საფრთხის წინაშე აღმოჩნდება, მით უფრო, რომ მათი ოპონენტი „ნაციონალური მოძრაობა" ფხიზლობს და ელოდება, როდის დაუშვებს მთავრობა შეცდომებს.

როდესაც ორკესტრი ცუდად მუშაობს, ეს შეიძლება ორკესტრის ბრალი იყოს და შეიძლება დირიჟორის. იმისდა მიხედვით, ირაკლი ღარიბაშვილი როგორ მოსთხოვს მთავრობას ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტას, იმაზეა დამოკიდებული, მინისტრები ამოქმედდებიან თუ არა. ღარიბაშვილს რომ შეუძლია გადაჭრას ის პრობლემა, რაც აქამდე მთავრობის სხვა წევრსაც შეეძლო, გადაეჭრა, ვნახეთ. ეს არის თუნდაც ხელფასების, ფუფუნების საგნების საკითხი და ა.შ. ანუ ფუფუნებისკენ მიმავალ გზაზე თვითონ მინისტრები უარს ვერ ამბობდნენ, მაგრამ პრემიერმა გადაჭრა ეს პრობლემა. თუმცა ბევრია ორგანიზაციული ხარვეზი, მაგალითად, ტრაქტორების საქმეზე გაირკვა, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მაღალჩინოსნები არ იყვნენ დამნაშავე, მაგრამ რატომ არ დაისაჯნენ ის პროკურორები, ვინც მათ დააბრალა დანაშაული და იმიჯი შეულახა? მსგავსი ორგანიზაციული შეცდომა ბევრია. როდესაც საზოგადოებაც და მინისტრებიც შეეჩვევიან იმას, რომ მათი შეცდომა ყოველთვის დაისჯება და წარმატება წახალისებული იქნება, შემდეგ უკვე მათი პროდუქტიულობა გაცილებით მაღალი იქნება. სწორედ ამ კუთხით უნდა გამოსწორდეს ვითარება ქვეყანაში, რაც ხელისუფლებამ უნდა გააკეთოს.

შორენა გოგოლაძე
599 22 75 27

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „საქართველოს გზა" საარჩევნო ბარიერთან დაკავშირებით განცხადებას აგრცელებს



პარტია „საქართველოს გზის" თავმჯდომარე თეიმურაზ მურვანიძე იმედოვნებს, რომ ხელისუფლება მზად იქნება, მომავლისთვის განიხილოს არჩევნების თანამედროვე და დაცული სისტემების დანერგვა საქართველოში.

„საქართველოს გზა" ბოლო ერთი წლის განვამლობაში ჩართული იყო თვითმმართველობის საარჩევნო კოდექსის შემუშავებაში და აქტიურად ვლობირებდით ბიომეტრიული მონაცემების საფუძველზე საარჩევნო სიების შექმნასა და ელექტრონული არჩევნების სისტემის დანერგვას ჩვენს ქვეყანაში. შემუშავებული გვაქვს ინოვაციური და თანამედროვე, საქართველოზე მორგებული მოდელი. აქედან გამომდინარე, საარჩევნო კოდექსის ის ნაწილი, რომელიც საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების წესს ეხება, ჩვენთვის არ არის აქტუალური, თუმცა მხარს ვუჭერთ სამართლიანობისა და გამჭვირვალების პრინციპზე დაყრდნობილ მიდგომებს.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი შეფასებით განვლილი ერთი წლის განმავლობაში შეიძლებოდა საარჩევნო კოდექსის რევოლუციური ცვლილებები და ეს დრო ვერ იქნა გამოყენებული ეფექტურად, „საქართველოს გზა" მაინც დადებითად აფასებს მმართველი გუნდის მიერ გადმოდგმულ ნაბიჯებს და იმედს იტოვებს, რომ ხელისუფლება მზად იქნება, მომავლისათვის განიხილოს არჩევნების თანამედროვე და მეტად დაცული სისტემების დანერგვა საქართველოში", – ნათქვამია განცხადებაში (ინტერპრესნიუსი)

## ეკონომიკური ზრდა 8%-ია?



ფინანსთა სამინისტროს წინასწარი მონაცემებით, იანვარში წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 8%-იანი ეკონომიკური ზრდა დაფიქსირდა. ნოდარ ხადურის განცხადებით: „ეს არის წინასწარი მონაცემები, მაგრამ ის ემყარება გადამხდელების მიერ დეკლარირებულ მაჩვენებლებს. ეს ადასტურებს, რომ დამატებითი ღირებულების გადამხდელი კომპანიების ბრუნვა იანვარში 16 პროცენტით გაიზარდა. ჩვენი წინასწარი მონაცემებით, ზრდა იანვარში იქნება 8 პროცენტი წინა წლის იანვართან შედარებით", – განაცხადა ხადურმა.

მისივე განმარტებით, ეს გამოწვეულია რამდენიმე დარგში სერიოზული გააქტიურებით.

„ესაა შედეგი სოფლის მეურნეობაში თითქმის გაორმაგებული აქტივობის, იმის, რომ 43 პროცენტით არის გაზრდილი მშენებლობა, ძალიან მნიშვნელოვანია ასევე, რომ გაზრდილია სატრანსპორტო გადაზიდვები. ეს ყველაფერი ჩვენ გვაძლევს იმის ვარაუდის საფუძველს, რომ ჩვენი პროგნოზები არის კონსერვატიული", – განმარტა მინისტრმა. (ინტერპრესნიუსი)

# ხელისუფლების რომელი წარმომადგენლები გაიშიფრებიან „ნაციონალებთან“ კავშირში?



„დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოს“ წევრის, ირაკლი ბათიაშვილის განცხადებით, „უახლოეს პერსპექტივაში საკმაოდ დრამატულად და რთულად შეიძლება განვითარდეს მოვლენები საქართველოში. ეს მოვლენები განვითარდება ადგილობრივი არჩევნების შემდგომ. სქემა ასახავს იმ გეგმას, რომელიც შემუშავებული აქვს „ნაციონალური მოძრაობის“ ელიტას, მიხეილ სააკაშვილის ლიდერობით. ლაპარაკია, მასირებულ შეტევაზე, რომელიც უნდა დაიწყოს „ნაცმოძრაობის“ მხრიდან ახლო მომავალში. მთავარი სამიზნე ამ დარტყმის იქნება ირაკლი ღარიბაშვილი და მისი დასაყრდენი გუნდი მთავრობაში... მასირებული შეტევა გამოხატული იქნება პოლიტიკურ დარტყმებში და აისახება განცხადებებში, ინტერვიუებში, გამოსვლებში, ხოლო ამ შეტევის მიზანი იქნება ხელისუფლების დასუსტება, დისკრედიტაცია და დაუძლურება... სტრატეგიის მიზანია დესტაბილიზაცია... მე მაქვს გარკვეული ინფორმაციები, იმის შესახებ, თუ რაზე მსჯელობენ „ნაცმოძრაობის“ ელიტარულ ჯგუფში. საით უნდა წაიყვანონ და როგორ წარმართონ პროცესები“, – დასძინა ბათიაშვილმა.

**„ალია“ დეტალების დასაზუსტებლად ირაკლი ბათიაშვილს დაუკავშირდა:**

**— ბატონო ირაკლი, შეგიძლიათ დამიკონკრეტოთ, რა გეგმები აქვთ „ნაციონალებს“, რა სცენარს ამზადებენ?**

– მე ვპროგნოზირებ დრამატული პოლიტიკური პროცესების განვითარებას, კერძოდ, იმ გეგმაზე ვსაუბრობ, რომელიც შემუშავებული აქვს „ნაციონალური მოძრაობის“ ელიტარულ ნაწილს, ანუ მათ ლიდერებს. მათ აქვთ შემუშავებული ახლო პერიოდში გათვლილი სამოქმედო გეგმა. ამის შესახებ ვსაუბრობ გარკვეულ ინფორმაციებზე დაყრდნობით და ჩემს ლოგიკურ ანალიზს ვავითარებ. „ნაცმოძრაობის“ ლიდერებს აქვთ სერიოზული რწმენა და იმედი, რომ დაბრუნდებიან ხელისუფლებაში. ამ მიზნიდან გამომდინარეობს მათი სტრატეგია, რომელიც გათვლილია ახლო პერიოდზე, მათ სურთ, ქვეყანაში იყოს არასტაბილური ვითარება, ხელისუფლება იყოს პარალიზებული და დისკრედიტებული. მათი გათვლით, ადგილობრივი არჩევნებისთვის უნდა დაიწყოს მეთოდური პოლიტიკური შეტევა პრემიერ-მინისტრისა და მისი დასაყრდენი გუნდის მიმართ. ეს შეტევა მიზნად ისახავს ამ სახელისუფლებო მთავარი ძალის დასუსტებას, სრულ დისკრედიტირებას და საბოლოო ჯამში, პარალიზებას. ნაცმოძრაობის ლიდერებს მიაჩნიათ, რომ ამ პროცესისთვის ხელშემწყობ ფონს ქმნის უმძიმესი სოციალური ფონი, რომელსაც ვერ გავექცევით. ეს ფონი დღითი დღე მძიმდება და არ უმჯობესდება.

**— იქნებ იმარჯვებენ არჩევნებში, ან მათთვის სასურველ პროცენტს იღებენ, მაშინ რაღაში აწყობთ სიტუაციის არევა?**

– საქმეც მაგაშია, რომ არჩევნებში შედეგს ვერ მიიღებენ და ამიტომ ემზადებიან დესტაბილიზაციისთვის.

**— ირაკლი ღარიბაშვილის დასაყრდენი ახსენეთ. ვის გულისხმობთ?**

– ჩემს სუბიექტურ დამოკიდებულებებზე საუბრის სურვილი არ მაქვს. არც „ოცნების“, არც პრემიერის, არც სხვა პარტიის პოლიტიკური ბედი არ მაღელვებს, ჩემი ქვეყანა მაღელვებს და მინდა, თავიდან ავიცილო მოვლენათა უკუღმართი განვითარება. კარგად ვიცი, რომ „ნაცმოძრაობა“ უკან დამხევი არ არის, ამდენი ხანია, ხელისუფლება უნიათოდ მოქმედებს და „ნაცები“ ისევ თავხედდებიან, ეკრანებიდან არ ჩამოდიან, პოლიტიკოსების ენერგია იხარჯება „ნაციონალებთან“ ძიძგილაობაში და მეტი არაფერი კეთდება.

**— რატომ ფიქრობთ, რომ ხელისუფლების დისკრედიტება „ნაციონალებს“ ხელისუფლებაში დააბრუნებს? ხალხი მათ დასჯასა და ციხეებში ჩასმას ითხოვს...**

– როცა საუბარია ხელისუფლებაში მობრუნების სტრატეგიაზე, ასე იწყებოდა სულ, სწორედ ისეა, ახალი ხელისუფლების მოსვლა წინას დისკრედიტაციის ხარჯზე ხდებოდა ხოლმე. ეს აუცილებელი საფეხურიცაა, რომ ხელისუფლება მობრუნდეს. ისინი მოახდენენ სხვადასხვა უკმაყოფილების ტალღის ინსპირირებას რეგიონებსა და დედაქალაქში. ეს შეიძლება იყოს ნაკლებად მრავალრიცხოვანი, მაგრამ საზოგადოების განწყობაზე ეს გავლენას მოახდენს.

ამასთანავე, ამ სქემაში მე წარმოვადგენ, რომ მათი ფარული მოკავშირეებიც გააქტიურდებიან. ამ ადამიანების პირდაპირი დავალება და სურვილიც იქნება ის, რომ ირაკლი ღარიბაშვილი და მისი გუნდი გაანეიტრალონ.

**— ვის გულისხმობთ ფარულ მოკავშირეებში და რანაირად უნდა გაანეიტრალონ ღარიბაშვილი?**

– არჩევნების მერე უფრო გამოიკვეთებიან ეს მოკავშირეები, რომლებიც წარმოდგენილია „რესპუბლიკელებისა“ და „ალასანიას“ გუნდით. სამოქმედო გეგმა მიზნად ისახავს პოლიტიკური სიტუაციის დესტაბილიზაციას. ქაოსისა და გაურკვევლობის შექმნაში მათთვის მნიშვნელოვანი იქნება სერიოზული დასაყრდენის შენარჩუნება, რომელიც მათ აქვთ შინაგან საქმეთა სამინისტროს გარკვეული კონტინგენტის სახით. ეს კონტინგენტი არ არის მცირერიცხოვანი, გარწმუნებთ. ეს ადამიანები დღესაც მისტირიან „ნაციონალურ მოძრაობას“. „ნაცმოძრაობის“ ელიტა ფიქრობს, რომ კონტაქტები მათთან არ უნდა დაიკარგოს, შეინარჩუნოს ფარულობა, მაგრამ უნდა გაღრმავდეს და გაძლიერდეს. როდის გამოადგებათ ეს ძალა, კაცმა არ იცის, სამაგიეროდ მღვრიე წყალში თევზი კარგად იჭირება. თუ შენ გინდა მოსვლა ხელისუფლებაში, პირველ რიგში, არსებული ხელისუფლება უნდა დაასუსტო.

**— გარკვეული ინფორმაციები მაქვს რაზე მსჯელობენ „ნაცმოძრაობის“ ელიტარულ ჯგუფშიო, ამბობთ. შეგიძლიათ დააკონკრეტოთ, რაზე მსჯელობენ?**

– დაკონკრეტება არ მინდა, მაგრამ რასაც მე ვსაუბრობ, ეყრდნობა კონკრეტულ ინფორმაციას „ნაცმოძრაობიდან“ და ლოგიკურ ანალიზს.

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

## უმრავლესობა ბიუჯეტის პროექტის დაგეგმვაზე უარს აცხადებს



საკრებულოს ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა – რეფორმატორები“ თავმჯდომარის, თემურ გრიგალაშვილის განცხადებით, უმრავლესობა ბიუჯეტის პროექტის დაგეგმვაზე უარს აცხადებს.

გრიგალაშვილი უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერის, მიხეილ ქავთარაძის განცხადებას გამოეხმაურა, რომლის თანახმად, ისინი უმცირესობის შეთავაზებაზე, თვითონ დაგეგმონ ბიუჯეტის პროექტი, უარს აცხადებენ, მოტივად კი თბილისის მოქმედი მთავრობის მიმართ გამოცხადებულ უნდობლობას ასახელებენ.

„ჩვენ ვთვლით, რომ ეს არის მოსახლეობის თვალებში ნაცარის შეყრა. მათი ლოგიკით, ბიუჯეტის 1/12-ით ხარჯვა პრობლემას არ უქმნის სხვადასხვა მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებას.

შესაბამისად, მათი განცხადებებით, მერიას ყოველთვიურად 60 მილიონის ხარჯვის უფლება აქვს და წლის განმავლობაში ხარჯვით ნაწილში დედაქალაქის სხვადასხვა პროექტებს პრობლემა არ შეექმნება, ანუ მათ მიერვე უნდობლობა გამოუცხადებულ მთავრობას წლის პირველ ნახევარში აქვს საშუალება, თუ დავაჯამებთ 300 დან 350 მილიონამდე ლარი დახარჯოს, მეორე მხრივ, ისინი თავადვე აცხადებენ უარს, შეადგინონ ბიუჯეტი, ჩამოაყალიბონ პრიორიტეტები და საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში თითოეული ლარის ხარჯი გააკონტროლონ“, – განაცხადა თემურ გრიგალაშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...



## მამა გაბრიელის საფლავზე მისვლის მსურველთა დიდი ნაკადის გამო შსს-მ შეზღუდვები დააწესა

22 თებერვალს, მცხეთაში, მამა გაბრიელის საფლავის გახსნის პროცესზე დასწრების მსურველთა დიდი ნაკადის მისაღებად შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოქალაქეების უსაფრთხოებისა და წესრიგის დასაცავად გარკვეული შეზღუდვები დააწესა.

1. 22 თებერვლის 09:00 საათიდან 24 თებერვლის 12:00 საათამდე:

ა) თბილისში, აღმაშენებლის ხეივნის მე-13 კილომეტრიდან (გლდანის ხიდები, ძველი ავტ. ბაზრობის ჩასახვევი) დასავლეთის მიმართულებით, ცენტრალურ მაგისტრალზე მოძრავი ყველა სახის სატრანსპორტო საშუალებისთვის მოძრაობა აკრძალული იქნება.

ბ) ასევე გადაიკეტება ქალაქ მცხეთაში შესასვლელი და გამოსასვლელი ყველა შემოვლითი გზა;

გ) თბილისიდან დასავლეთში მიმავალი ყველა სახის ავტოსატრანსპორტო საშუალება ავჭალა-ზაჰესი-მცხეთის შემოვლითი გზით ისარგებლებს (გლდანის ხიდები – ძველი ავტ. ბაზრობის ჩასახვევიდან).

დ) დასავლეთ საქართველოდან თბილისის მიმართულებით მოძრავი ყველა სახის ავტოსატრანსპორტო საშუალება ცენტრალურ მაგისტრალზე შეუფერხებლად იმოძრავებს.

2. სრული დატვირთვით იმუშავებს რკინიგზა თბილისი-მცხეთის მიმართულებით.

იმისთვის, რომ არ მოხდეს გაუთვალისწინებელი შემთხვევები და პოლიციამ შეძლოს ხალხის ნაკადის მოწესრიგება, შინაგან საქმეთა სამინისტრო საფლავის გახსნის პროცესზე დასწრების მსურველებს მოუწოდებს, დაემორჩილონ სამართალდამცველების კანონიერ მოთხოვნას, ხელი შეუწყონ მათ წესრიგის დაცვაში და პოლიციასთან ერთად კოორდინირებულად იმოქმედონ. (ინტერპრესნიუსი)

## სახელისუფლებო სპეცკავშირების სააგენტოს უფროსი გადააყენეს



ლევან ჭურაძე სახელისუფლებო სპეციალური კავშირების სააგენტოს უფროსის თანამდებობიდან გაათავისუფლეს. პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის შესაბამისი ბრძანება მთავრობის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა.

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის შესაბამისად, განთავისუფლდეს ლევან ჭურაძე საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელისუფლებო სპეციალური კავშირების სააგენტოს უფროსის თანამდებობიდან“, – ნათქვამია პრემიერის ბრძანებაში.

თუ ვინ შეცვლის ჭურაძეს, სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში, რომლის დაქვემდებარებაშიც სახელისუფლებო სპეციალური კავშირების სააგენტო შედის, ჯერჯერობით არ ახმაურებენ. (ინტერპრესნიუსი)

# საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება „1-ლი არხის“ ბორდის თავმჯდომარის ფსიქიკური აშლილობის ფონზე

**2014 წლის 19 თებერვალს საკონსტიტუციო სასამართლომ არსებითად განსახილველად მიიღო სარჩელი, რომლის სადავოდ გამხდარი ნორმები ეხება საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს ახალი წესით დაკომპლექტების, მეურვეების არჩევისა და მათი უფლებამოსილების ცნობის საკითხს. უფრო მარტივად კი, საკონსტიტუციო სასამართლომ შეაჩერა პარლამენტის მიერ გამოცხადებული კონკურსი ბორდის ახალი კანდიდატების შესარჩევად, რითაც სრული დისკრედიტაცია გაუწია საქართველოს პარლამენტს.**

**მოსამართლე ვარძელაშვილი ამჯერადაც „მოწოდების სიმაღლეზე“ აღმოჩნდა და უკანასკნელი სამსახური გაუწია საკუთარ „დიდ მფარველს“, „ნაციონალურ მოძრაობას“, რომელიც ვერა და ვერ თმობს საზოგადოებრივ მაუწყებელს, როგორც მსუყე ლუკმას წინასაარჩევნო პროპაგანდისთვის და არამხოლოდ... 35-მილიონიანი გარღვევა, რომელსაც სწორედ გასულ 9 წელიწადში დაუგროვდა საზოგადოებრივ მაუწყებელს, თამარ კინწურაშვილიდან გია ჭანტურიამდე ხელისუფლებისდროინდელია. შეჭმულ-გაფლანგულ თანხებზე კი ზედამხედველობის საჭე სწორედ ლევან გახელაძეს ეპყრა ხელთ. ეს ის გახელაძეა, რომელიც მიუხედავად ვადაგასულობისა, დღემდე უცვლელად ზის „ყოფილ-ახლანდელ“ სკამზე, რომელიც ფორმალურად გოგუაძეს კი გადაულოცა, მაგრამ ბორდის მართვაში რეალურად არაფერი შეცვლილა. გახელაძე კვლავ აუღელვებლად შლის კომპიუტერში პასეანსს და უჩივის და უჩივის საზოგადოებრივი მაუწყებლის მისთვის უკონტროლო ხელმძღვანელობას ისეთი უცოდველი სახით, თითქოს 35 მილიონი მამა-პაპისგან მემკვიდრეობით ჰქონოდა მიღებული და 9 წელიწადში უცაბედად „შემოეჭამა“...**

19 თებერვლის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას არავინ ელოდა 6 თებერვლის ფონზე. სწორედ 6 თებერვალს ბათუმში, საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი სხდომა გაიმართა. მოსარჩელე მხარეს წარმოადგენდნენ საზოგადოებრივი მაუწყებლის აწ უკვე დაშლილ-დაქუცმაცებული, ქმედუუნარო და ვადაგასული ბორდის ნარჩენები დავით კანდელაკის, ნატალია დვალის, ზურაბ დავითაშვილის, ემზარ გოგუაძის, გიორგი მელაძისა და მამუკა ფაჩუაშვილის სახით. მოპასუხე მხარე, რასაკვირველია, საქართველოს პარლამენტი იყო, დავის საგანი კი – „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე პირველი მუხლის მე-2 პუნქტი. მკითხველისთვის გასაგებ ენაზე კი, ნაციონალური ბორდი პარლამენტს უჩიოდა: დაგვშალეს, იძალადეს, ნამუსი აგვხადეს და სახელი გაგვიტეხეს, გვიშველეთ, აღგვადგინეთო...

პარლამენტის ადვოკატი ძალზე სუსტი გამოდგა. ეტყობა, საქართველოს საკანონმდებლო ორგანომ ზედმეტად ადრე იზეიმა გამარჯვება და ჩათვალა, რომ ისედაც დაშლილი ბორდის წევრთა მოთხოვნებს, შეცვლილი კანონმდებლობის ფონზე, საკონსტიტუციო სასამართლო არ გაითვალისწინებდა, ამიტომაც საგანგებო დაცვაზე არც უფიქრია... ნაციონალების ადვოკატები კი, მშვენივრად მომზადებული, არგუმენტირებული და ძველი ბორდის თავმჯდომარის, ლევან გახელაძის მიერ ათასჯერ აწონილ-გაზომილი სტრატეგიით მოქმედებდა, ამიტომაც დამსწრე საზოგადოებაზეც და მოსამართლეზეც საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. **ვინ იცის, როგორ წარიმართებოდა პროცესი და რა გადაწყვეტილებას მიიღებდა მოსამართლე, რომ არა უცაბედი მეხი ნაციონალების თავს, რომელიც ბორდის თავმჯდომარის, ემზარ გოგუაძის ყივილმა გამოიწვია სასამართლო დარბაზში. ყველასთვის მოულოდნელად, ბორდის თავმჯდომარე მაგიდაზე „შეფრინდა“ და ფრთების ტყლაშუნით გამკივანი ხმით დასძახა: „ყიყლიყოყიიი!!!“ მერე ფრთები გაისწორა, ახლა ძაღლად გადაიქცა და ყმუილი და ყეფა მორთო: „ავ-ავ-ავ-ავ-ავ!!!!“**

მოულოდნელობისგან ჟურნალისტებიც და ოპერატორებიც ისე დაიბნენ, კამერების ჩართვაც ვერ მოასწრეს და ეს სკანდალი, გოგუაძისა და ნაციონალების ბედად, ობიექტივს მიღმა დარჩა. ვიდრე გოგუაძე სხვა შინაური თუ გარეული ცხოველების განსახიერებას შეუდგებოდა, ბორდის ერთ-ერთმა წევრმა, დავით კანდელაკმა იმარჯვა, თავისმომჭრელ თავმჯდომარეს ფეხში ხელი სტაცა, წააქცია, თავში დაეცა და დარბაზიდან ძალით გაათრია. გაოგნებულმა მოსამართლე ვარძელაშვილმა იკითხა, რამდენად ხშირად მოდიოდა ამგვარი შეტევები ბორდის თავმჯდომარეს. დაბნეულმა მოსარჩელეებმა უპასუხეს, – არც ისე ხშირადო... ამასობაში მოსამართლემ თავი ხელში აიყვანა, განრისხებულმა გრდემლს ჩაქუჩი დაჰკრა, პროცესი დაასრულა და დარბაზი დატოვა.

## საკონსტიტუციო სასამართლოს „რევოლუციური“ გადაწყვეტილება

გოგუაძის შიზოფრენიული გამოხტომის შემდეგ არც ერთი ჭკუათმყოფელი, მათ შორის „ნაციონალურ მოძრაობაშიც“, აღარ ელოდა, რომ საკონსტიტუციო სასამართლო წარმოებაში მიიღებდა უფუნქციოდ დარჩენილი, დაშლილ-დაქუცმაცებული ბორდის სარჩელს, თუმცა აქაც ყველა მოტყუვდა...

ბორდის სარჩელს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგია განიხილავს მოსამართლე ვარძელაშვილის თაოსნობით. ეს ის ვარძელაშვილია, რომელიც საგანგებოდ შეარჩიეს ნაციონალებმა „მეგობრობის“ ნიშნით. ვარძელაშვილის გამოსამართლებაში, რამდენიმე წლის წინათ, ნაციონალებმა თავი გამოიდეს. მას შემდეგ ვარძელაშვილს არცთუ ხშირად აწუხებდა მმართველი პარტია. თუმცა, ვალი ვალია და ადრე თუ გვიან, ვარძელაშვილს ის მაინც უნდა გადაეხადა. ჰოდა, გადაიხადა კიდეც. ბორდის რამდენიმე წევრი მისი საკმაოდ ახლო მეგობარი იყო. ზარი „ნაციონალური მოძრაობის“ ოფისიდან კი გადამწყვეტი აღმოჩნდა და გაება საზოგადოებრივი მაუწყებელი მორიგ შარში, რომლიდან ამოძრომასაც რამდენი დრო და ენერგია დასჭირდება, არავინ იცის...

დანამდვილებით კი ერთია ცნობილია: 6 თებერვლის საკონსტიტუციო სასამართლოზე ბორდის თავმჯდომარის ფსიქიკური აშლილობის შემოტევის გამო ლევან გახელაძეს, მამუკა ფაჩუაშვილსა და დავით კანდელაკს ნაციონალურ ოფისში წითელი ბარათი აუნთეს: სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში, არანორმალური გოგუაძე თანამდებობაზე როგორ აღმოჩნდაო. გახელაძე-კანდელაკი-ფაჩუაშვილი ამ დღეებში „შეცდომების გასწორებას“ იწყებენ და გოგუაძეს თუ ფსიქოლოგიურად, თუ ფსიქოტროპულად და თუ ნაწერ-დაზეპირებული ტექსტებით დღედაღამ ამშვიდ-ამეცადინებენ საკონსტიტუციო სასამართლოში სიტყვით გამოსასვლელად. ერთმა ღმერთმა იცის, გაუძლებს თუ ვერა გოგუაძის არამყარი ფსიქიკა ამდენს. ეგებ მამლისა და ძაღლის ამბავი მონაგონიც იყოს მომავალ სხდომაზე...

## აქა ამბავი ემზარ გოგუაძის ბორდის თავმჯდომარეობისა

ეს ამბავი გასული წლის სექტემბერში დაიწყო. ნაციონალური ბორდის ძლევამოსილი თავმჯდომარე, რომელიც წლების განმავლობაში სიტყვაშეუბრუნებლად ახორციელებდა პარტიის ყველა დაკვეთას, ატარებდა „ნაციონალურ-სახელმწიფო“ პოლიტიკას, ხსნიდა და ათავისუფლებდა გარაჟის მძღოლიდან დაწყებული, საინფორმაციო სამსახურის უფროსითა და თვით გენერალური დირექტორით დამთავრებული ყველა სტრატეგიულ თუ მნიშვნელოვან კადრს, სავარძელში თავს ფრიად კომფორტულად გრძნობდა და დღედაღამ პასეანსის გაშლით ერთობოდა. „ნაციონალური მოძრაობა“ კმაყოფილი იყო გახელაძის მუშაობით. კმაყოფილებას კი ნაცები ფრიად გულუხვად გამოხატავდნენ მატერიალური თვალსაზრისით. ბატონ გახელაძეს 2500-ლარიანი ხელფასი ილიას უნივერსიტეტში ერიცხებოდა, 2500 ლარიც, გარდა „მარცხენა“ შემოსავლებისა, საზოგადოებრივ არხზე. „მარცხენა შემოსავლები“ კი 35 მილიონი ლარი, რომელიც ნაჭამ-ნასვამის სახით, მემკვიდრეობით დაუტოვეს ახალ ხელმძღვანელობას, დამეთანხმებით, ფრიად შთამბეჭდავად გამოიყურება. ასე რომ, კარგა ხანს პარტიაცა და ჭანჭიკიც კმაყოფილები იყვნენ. არხი კი მუშაობდა კვესიტაძე-პაიჭაძის იდეოლოგიით და საერთო იდილიას არ ჰქონდა საზღვარი... პირველ ოქტომბერს, ნაციონალების საუბედუროდ ჩამოკრულმა საგანგაშო ზარებმა „აწყობილი ქვეყანა“ სულ თავზე დააქციეს ნაციონალურ ხელისუფლებას. უბედურება იმდენად დიდი იყო, რომ უმაღლეს სახელისუფლო ვერტიკალს საზოგადოებრივი მაუწყებელი, რომელიც წლების განმავლობაში ფულის სარეცხ მანქანად ჰქონდათ გადაქცეული, არც გახსენებიათ. გახელაძეც მიხვდა, რომ თავის გადარჩენის გზები უნდა ეძებნა, თუ სურდა, „საათივით აწყობილი საქმე" ხელიდან არ გამოსცლოდა. ბორდის თავმჯდომარეც მიდგა-მოდგა და „ქოცებთან“ „საქმის გაჩარხვას“ შეეცადა, გია ჭანტურია სასწრაფოდ მოიშორა თავიდან და მის ადგილზე მხარი დაუჭირა გიორგი ბარათაშვილს. პირველი „იაღლიშიც“ მაშინ მოუვიდა, როდესაც ჩათვალა, რომ ბარათაშვილი თანამდებობით მოიხიბლებოდა, გახელაძის ღვაწლს დააფასებდა და მისი თამაშის წესებით ითამაშებდა, თუმცა შეცდა... შეცდომების გასწორება ნაციონალურმა ბორდმა ერთხმად სცადა და თითიდან გამოწოვილი ბრალდებებით ბარათაშვილი თანამდებობიდან ხმათა უმრავლესობით გადააყენა... გახელაძე ჩქარობდა. მისი უფლებამოსილების ვადა იწურებოდა, ნაციონალების დაკვეთები კი შეუსრულებელი რჩებოდა. საჭირო იყო მემკვიდრის ძიება, რომელიც, წესით, ძნელი არ უნდა ყოფილიყო. ყველა ვარაუდობდა, რომ ბორდის თავმჯდომარის ვაკანტურ სავარძელს მამუკა ფაჩუაშვილი დაიკავებდა, ფორმალურად არაფერი შეიცვლებოდა, „პირველი არხი“ კი კვლავ ხელისუფლების ხელში აღმოჩნდებოდა, მაგრამ ჰოი, საოცრებავ... სასამართლომ ბარათაშვილი კვლავ გენერალური დირექტორის სავარძელში დააბრუნა, ემზარ გოგუაძე კი, სრულიად შემთხვევით, ბორდის თავმჯდომარის სკამზე წამოასკუპა.

გოგუაძე ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებაში პარლამენტის პრესასთან ურთიერთობის სამსახურს უძღვებოდა, ბუნკერშიც კი იყო, ყოფილ პრეზიდენტთან ერთად. უსამართლოდ დევნილი პოლიტიკოსის იმიჯი და კომპლექსიც იქიდანვე აიკიდა და ნაციონალური მოძრაობის დამარცხების შემთხვევაშიც, აწ უკვე მეორედ გახდა „რეპრესირებული პოლიტიკოსი“. ბორდის თავმჯდომარედ არჩევამდე ყოფილ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ხალიჩაზეც დადგა ფეხი და ვიწრო წრეში პრეზიდენტთან ერთად ივახშმა. სწორედ ამ დღეს გადაწყვიტა სააკაშვილმა მომავალი ბორდის თავმჯდომარისთვის არცთუ ისე უხვი „გასამრჯელო“ მიეცა, რომელიც მისი სახლის რემონტისთვის სრულიად საკმარისი აღმოჩნდა. გოგუაძეც ბედნიერი დარჩა და პრეზიდენტიც. აქედან დაიწყო მისი ფსიქიკის ნელ-ნელა რყევა და საზოგადოებრივი მაუწყებლის უბედურება, რომელმაც უკვე მეორედ დაკარგა გენერალური დირექტორი, სამაგიეროდ მიიღო ჭკუიდან შეშლილი ბორდის თავმჯდომარე, რომელიც იმ დღიდან გინების კორიანტელს აყენებდა ტელევიზიის დერეფნებში, მისი ბუნებისთვის შეუფერებელ, უწმაწურ სიტყვებს ისროდა უმისამართოდ, მეორე დღეს კი აღარაფერი ახსოვდა და უბოდიშებდა ყველას: მაპატიეთ, ფსიქიატრთან დავდივარო. ბორდის წევრებმა, რომლებიც დროზე მიხვდნენ რა შარშიც იყვნენ, ზოგმა – ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება, ზოგმაც მოუცლელობა მოიმიზეზა და დარჩა გოგუაძე კაპიტნად ჩაძირულ ხომალდში... ამ პოლიტიკურმა ფიასკომ მის ფსიქიკას ერთი ორად დაარტყა და დაიწყო პრესკონფერენციების მოწყობა წამებულის მანტიით, აქაოდა ქვეყნის პირველ პირებთან შეხვედრას ვითხოვ და არ მხვდებიანო. წუწუნით ბოლოს „პირველი არხის“ გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს, თამაზ ტყემალაძესაც მიმართა: დავრჩით 7 კაცი და რა ვქნათ ახლა ჩვენო? ტყემალაძემაც მიუგო: „შვიდკაცა“ სიმღერაშია კაი და ბორდში არა მგონიაო... ამ დიალოგის შემდეგ გოგუაძესა და ტყემალაძეს შორის საბოლოოდ ჩაირბინა შავმა კატამ და ბრძოლამ ლამის ტრაგიკული, მუშტი-კრივის სახე მიიღო. ტყემალაძემ, ყველასთან შეუთანხმებლად, ერთ მშვენიერ დღეს, ხელაღებით გააუქმა კვესიტაძე-პაიჭაძის ტოქშოუები, რითაც საზოგადოების სიმპათია და ბორდის ანტიპათია დაიმსახურა. ბორდი აშკარა პროვოკაციაზე გადავიდა და შეეცადა, მარადაუღელვებელი ტყემალაძე წონასწორობიდან გამოეყვანა, მაგრამ ამჯერადაც შეცდა. გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა თავი შეიკავა და, თუმცა ხელები კი ექავებოდა, მაინც არ გაულაწუნა მის მიმართ აშკარად „მოუკრეფავში“ გადასულ გახელაძეს, გოგუაძესა და ფაჩუაშვილს.





ვიდრე პარლამენტი კანონს შეცვლიდა და ახალი ბორდი ვადაგასულს საბოლოოდ ჩაანაცვლებდა, გოგუაძემ და გახელაძემ კიდევ მოასწრეს რამდენიმე საჩივრის გაშანშალება, რომელმაც რამდენიმე ასეული ათასით დააზარალა უამისოდაც უამრავ ვალაკიდებული საზოგადოებრივი მაუწყებელი. ბორდის ნარჩენების საბოლოო ლახვარი კი ბარათაშვილის ხელმეორედ მობრუნება გახდა. უკანასკნელი ბრძოლა ვადაგასულ, დაშლილ-დანაწევრებული და სახელგატეხილი ბორდისა, რომელმაც ვერა და ვერ შეაბრალა თავი ვერც ევროკავშირს, ვერც ევროპის მაუწყებელთა კავშირს და ვერც ამერიკის ელჩს, მაინც საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება იქნება, რომელმაც გოგუაძის უსაქციელობის, ყივილისა და ყმუილის შემდეგ, კარგად უნდა გაისიგრძეგანოს რა საცოდავ დღეში ამყოფებდა ეს ნახევრად შეშლილ ადამიანთა ჯგუფი მთელ საზოგადოებრივ მაუწყებელს და ბოლოს და ბოლოს, აირჩიოს: ნაციონალებთან ვალის გასტუმრება და მათი რეანიმირება საზოგადოებრივ მაუწყებელში თუ სახელმწიფოებრივი გადაწყვეტილება, რომელიც წერტილს დაუსვამს მაუწყებლის მრავალწლიან უბედურებას, მრავალმილიონიან ვალებს, და თანამშრომელთა ბედს, რომლებიც ამ პერმანენტულ გაწევ-გამოწევასა და ჯიკაობაში ველარც შემოქმედებაზე ფიქრობენ და ველარც ხარისხიან გადაცემებზე.

როცა ქვემეხები დუმს, მუზები დუმან...

*ლევან მაჭუტაძე*

# რატომ დაემთხვა ნათელაშვილის აშშ-ში ვიზიტი ღარიბაშვილისას?



როგორც „ალიამ" შეიტყო, 21 თებერვალს, პარასკევს, „ლეიბორისტული პარტიის" ლიდერი შალვა ნათელაშვილი ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრება და ვიზიტი 3 მარტამდე გაგრძელდება.

ვის ხვდება და რა სახის შეხვედრებია დაგეგმილი ამერიკაში? რატომ დაემთხვა ვისი ვიზიტი ღარიბაშვილის ვიზიტს და რატომ ასწრებს ერთი დღით ადრე ჩასვლას ნათელაშვილი პრემიერ-მინისტრს?

დეტალების დასაზუსტებლად „ალია" **შალვა ნათელაშვილს** დაუკავშირდა:

**— ბატონო შალვა, ვის ხვდებით ამერიკაში, კონკრეტულად რა საქმეზე მიბრძანდებით?**

– 8 სამუშაო დღის მანძილზე მექნება გაუთავებელი შეხვედრები, თუმცა არასამუშაო დღეებსაც არ აქვს ჩემთვის მნიშვნელობა. მე სულ ვმუშაობ. შეხვედრები მექნება ამერიკის სტრატეგიულ და ანალიტიკურ ცენტრებში, ეს შეხვედრები უკვე დაგეგმილი და გაწერილია. მათ შორის, შეხვედრები მექნება ვაშინგტონშიც და ნიუ-იორკშიც. ასევე შევხვდები ამერიკის მასმედიის წარმომადგენლებს, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია.

**— კონკრეტულ სახელებს და გვარებს რატომ არ ამბობთ, ვის ხვდებით?**

– მე რომ ჩამოგითვალოთ ახლა, ვის ვხვდები, ეს ნიშნავს იმას, რომ საფრთხის წინაშე დავაყენებ შეხვედრას, შეიძლება ჩამიშალონ.

**— ის მაინც მითხარით, რა რანგის წარმომადგენლებს ხვდებით?**

– ჯერ ღარიბაშვილმა თქვას, რა რანგის ხალხს ხვდება. რატომ არ გვეუბნებიან? ჯერ მაგან თქვას და მერე მე ვიტყვი. ყველა შეხვედრის პუნქტები გაასაიდუმლოეს. მე ვიცი, რომ დიპლომატიურ ურთიერთობებს თავისი წესები აქვს, ამ წესებს და ფორმატს მე ვერ დავარღვევ, თუმცა შეხვედრის დეტალები მთლიანად იქნება გადმოცემული და გასაჯაროებული პრესისა და მასმედიის მიერ. მაქსიმალურად გავაშუქებ. შეხვედრებზე დავასწრებ ჩვენს ტელევიზიებსაც და მასმედიის სხვა საშუალებებსაც, რომლებიც იქ მოღვაწეობენ, მაგალითად, „ამერიკის ხმას" და სხვებს. არანაირი პრობლემა არ იქნება, რადგან არანაირი საიდუმლო და დახურული შეხვედრები მე არ მექნება.

**— რა საკითხებზე გაამახვილებთ ყურადღებას ძირითადად?**

– მდგომარეობა საქართველოში, გეოპოლიტიკური ვითარება რეგიონში, შექმნილი კრიზისი ქვეყანაში და ამ კრიზისიდან გამოსვლის გზები იქნება ძირითადი სალაპარაკო თემა ამერიკაში.

**— მიწვევით მიდიხართ, თუ თქვენ გსურდათ წასვლა და გარკვეულმა ჯგუფებმა მოგიმზადეს ეს შეხვედრები?**

– მაქვს ათეულობით მოწვევა ამერიკიდან. ვინ არიან მოწვევის ავტორები, ამას გაიგებთ სულ რამდენიმე დღეში, როგორც კი მათ შევხვდები და გავასაჯაროებ ყველა დეტალს, ამ ეტაპზე არ მინდა, რაიმე სახის უხერხულობა გამოვიწვიო.

**— თქვენ და ირაკლი ღარიბაშვილი ერთსა და იმავე დროს მიდიხართ ამერიკაში, ეს შემთხვევითია, თუ გამგებ დაამთხვიეთ?**

– უჩემოდ ვერ ძლებენ და იქაც მომყვებიან. მე მივდივარ და ღარიბაშვილი მომყვება, ასე გამოვიდა, რადგან ჩემი ვიზიტი კარგა ხანია, მზადდებოდა, ეს 1 და 2 დღეში არ გადამიწყვეტია.

**— როცა ეს დაგეგმეთ, მაშინ არ იცოდით, ღარიბაშვილიც რომ მიდიოდა?**

– ძალიან დეტალებში ნუ შევალთ ახლა. ამ ეტაპზე მეტის თქმის საჭიროებას ვერ ვხედავ. სულ რამდენიმე დღეში გაგაგებინებთ ყველაფერს.

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

# „საქართველოს ბანკის მომავლის ფონდმა" შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების მხარდასაჭერი პირველი საგრანტო კონკურსი გამოაცხადა



სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში „საქართველოს ბანკის მომავლის ფონდი" შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების მხარდასაჭერად პირველ საგრანტო კონკურსს აცხადებს.

როგორც ინიციატივის ავტორები განმარტავენ, კონკურსში განაცხადების შემოტანა შეუძლიათ არასამთავრობო ორგანიზაციებს, საინიციატივო ჯგუფებსა და სხვა შესაბამის დაწესებულებებს, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა საკითხებზე მუშაობენ.

ცნობილია, რომ პირველი საგრანტო კონკურსის ფარგლებში „საქართველოს ბანკის მომავლის ფონდი" 250 000 ლარის მოცულობის დაფინანსებას გამოყოფს. თითოეული გრანტის მოცულობა განისაზღვრება 25 000 ლარამდე. კონკურსზე წარდგენილი პროექტები მიმართული უნდა იყოს შშმ ბავშვებისთვის ადაპტირებული გარემოს შექმნაზე, საგანმანათლებლო აქტივობაზე, ან ბავშვების საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობაზე და კონკრეტული შედეგის მომტანი უნდა იყოს.

კონკურსში გამარჯვებულ პროექტებს, შესაბამისი მიმართულების ექსპერტებით დაკომპლექტებული დამოუკიდებელი ჟიური 2014 წლის 10 მარტს გამოავლენს. საკონკურსო განცხადების მიღება 18-დან 28 თებერვლის 17:00 საათამდე მოხდება, რისთვისაც კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა საჭირო დოკუმენტაცია უნდა გამოაგზავნონ ელფოსტაზე: **grants@bog.ge**

გამარჯვებული პროექტების განხორციელებას მონიტორინგს გაუწევს „საქართველოს ბანკის მომავლის ფონდი".

აღსანიშნავია, რომ „საქართველოს ბანკი" „საქართველოს ბანკის მომავლის ფონდში" წელს 2 მილიონ 150 000 ლარს გადარიცხავს.

კონკურსში მონაწილეობისთვის საჭირო დოკუმენტაციის ჩამონათვალი და სხვა დამატებითი ინფორმაცია განთავსებულია ვებგვერდზე: **www.foundation.ge**

კონკურსში მონაწილეობის მსურველებს ასევე, შეუძლიათ დაუკავშირდნენ საქართველოს ბანკის მომავლის ფონდს, ნომერზე: 2 444 493.

**ირაკლი გილაური, საქართველოს ბანკის გენერალური დირექტორი:**

– სოციალური პასუხისმგებლობის მიმართულებით, ჯამში, 2 მილიონ ლარზე მეტი გვაქვს გამოყოფილი, მათ შორის განათლების მიმართულებით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მხარდასაჭერად და გარემოს დაცვისთვის.

მოწვეული გვყავს არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც შემოიტანენ პროექტებს, განაცხადებს, ყველა მიმართულებით გვეყოლება კომისია, რომელიც დაკომპლექტებული იქნება სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებით. ეს არ იქნება ბანკის ერთპიროვნული გადაწყვეტილება – ეს იქნება დისკუსიის შედეგად გამოტანილი გადაწყვეტილება. მოხარული ვარ, რომ არასამთავრობო სექტორის 80-ზე მეტმა წარმომადგენელმა გამოთქვა სურვილი, მონაწილეობა მიიღოს ამ კონკურსში და ერთად ვიზრუნოთ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებზე.

**თორნიკე გურული, „საქართველოს ბანკის" პროდუქტების ინოვაციის სამსახურის უფროსი:**

– როგორც მოგეხსენებათ, „საქართველოს ბანკი" არის პირველი კომერციული ორგანიზაცია, რომელიც მსგავსი ტიპის კონკურსს აცხადებს. ჩვენ ერთადერთი ვართ საქართველოში, ვინც საგრანტო კონკურსი გამოაცხადა და მხარს უჭერს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებს ამ ფორმით.

იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებულ პირთა ჯგუფს არასამთავრობო ორგანიზაცია არ აქვს შექმნილი, შეუძლიათ, საინიციატივო ჯგუფად ჩამოყალიბდნენ და მიიღონ ჩვენი გრანტი. გარდა ამისა, ამის საშუალება ექნებათ სხვა ტიპის დაწესებულებებსაც. მაგალითად, თუ რომელიმე სკოლა ინკლუზიური განათლების მიმართულებით მუშაობს, მასაც შეუძლია განავითაროს იდეა და მიიღოს დაფინანსება „საქართველოს ბანკის მომავლის ფონდისგან".

**— ზუსტად რაზე დაიხარჯება ფონდის მიერ გამოყოფილი თანხები?**

– ჩვენ რამდენიმე მიმართულებას დავაფინანსებთ. ეს შეიძლება იყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების ინტეგრაცია საზოგადოებაში, ინფრასტრუქტურული პროექტები, ან სხვადასხვა ტიპის აქტივობები. აქვე დავამატებ, რომ ვერ დავაფინანსებთ სამეცნიერო კვლევებს, კონფერენციებს, საზღვარგარეთ მოგზაურობას, სამედიცინო ტიპის პროექტებს, როცა მკურნალობის შესახებ არის საუბარი. ასევე, ვერ დავაფინანსებთ შენობების შეძენასა და იჯარას კონკრეტული პროექტებისთვის.

**— რამდენად მარტივად მიიღებენ ინფორმაციას დაინტერესებული ორგანიზაციები კონკურსის შესახებ?**

– იმისთვის, რომ სრულიად საქართველოსთვის იყოს ხელმისაწვდომი ეს საგრანტო კონკურსი, ჩვენ შევქმენით ვებ-გვერდი, სადაც ყველა დეტალური ინფორმაცია არის მოცემული. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ „საქართველოს ბანკს", მის მომავლის ფონდსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს, გვაქვს შესაძლებლობა, ვაჩვენოთ ყველას, რომ შეზღუდული შესაძლებლობები არ არსებობს.

*მიხეილ სახვაძე*

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge


## სახალხო დამცველი გეგუთის საქმის გამოძიებას ითხოვს



სახალხო დამცველი მთავარ პროკურორს წინადადებით მიმართავს, გეგუთის ციხეში მსჯავრდადებულთა მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტზე გამოძიება დაიწყოს.

სახალხო დამცველი №14 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მსჯავრდადებულთა მასობრივი პროტესტის შესახებ 2014 წლის 6 თებერვალს საინფორმაციო საშუალებებით გავრცელებულ ინფორმაციას ეხმაურება. როგორც ომბუდსმენის ოფისში აცხადებენ, იმავე დღეს, პროტესტის გამომწვევი გარემოებების გარკვევის მიზნით, სახალხო დამცველის რწმუნებულები მივიდნენ აღნიშნულ დაწესებულებაში, სადაც მსჯავრდადებულები მოინახულეს და გაესაუბრნენ. საკითხის შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ მსჯავრდადებულების ი.ტ-ს და ი.ხ-ს მიმართ შესაძლოა, ადგილი ჰქონოდა ადმინისტრაციის თანამშრომლების მხრიდან არასათანადო მოპყრობის ფაქტებს. აღსანიშნავია, რომ მსჯავრდადებულებს სხეულზე აღენიშნებოდათ დაზიანებების კვალი.

„დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურიდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, აღნიშნულ ფაქტზე გამოძიებას საქართველოს პროკურატურა არ აწარმოებს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №14 (გეგუთის) დაწესებულებაში მსჯავრდადებულთა მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტზე გამოძიება დაიწყოს და საქმე აწარმოოს საქართველოს პროკურატურამ“, – ნათქვამია განცხადებაში. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# რატომ აღარ არის გიგი თევზაძე ილიას უნივერსიტეტის რექტორი?

გიგი თევზაძის 8-წლიანი მმართველობის შემდეგ, 20 თებერვალს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალ რექტორად უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი გიგა ზედანია გახდა.

ზედანიას კანდიდატურას უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს შვიდივე წევრმა დაუჭირა მხარი. კონკურსი რექტორის თანამდებობის დასაკავებლად 2013 წლის 2 დეკემბერს გამოცხადდა და საბუთების მიღება 2 კვირა გრძელდებოდა. ზედანია იყო ერთადერთი კანდიდატი, რომელიც რექტორის არჩევნებში მონაწილეობდა.

„ჩემთვის არის დიდი პატივი და დიდი პასუხისმგებლობა ის ნდობა, რომელიც აკადემიურმა საბჭომ გამომიცხადა. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ვარ დაარსების დღიდან და ვიცი, რომ ეს არის უაღრესად წარმატებული უნივერსიტეტი. ჩემი ამოცანა იქნება ამ წარმატების შენარჩუნება და შემდეგ პროფესორებთან და სტუდენტებთან ერთად მისი ახალ დონეზე გადაყვანა“, – განაცხადა ზედანიამ.



ვინ არის ახალი რექტორი? ვისი დაჯგუფების წარმომადგენელია და რის გაკეთებას აპირებს უნივერსიტეტში?

**„ალია“ დაუკავშირდა ილიას სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორს, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ზურაბ ბაგნიძეს:**

– ეს იყო სამარცხვინო არჩევნები, შვიდი წევრი არ ილებდა მონაწილეობას, როგორც გავრცელდა ინფორმაცია, ექვსი წევრი იყო აკადემიური საბჭოში, ვინც აირჩია, თუ ამას არჩევნები ჰქვია. ამ არჩევნებს თევზაძეც ესწრებოდა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილიც და ამ ექვსკაციანმა შემადგენლობამ აირჩია ერთი გიგა ზედანია, რომელსაც სხვა კონკურენტი არ ჰყავდა.

**— ვინ არის ეს ზედანია, რას წარმოადგენს?**

– ვინ არის და გიგი თევზაძის ხელისბიჭია და ძალიან სუსტია, სხვათა შორის. რასაც ვაკვირდებით, განხეთქილება აქვთ შიგნით.

**— რა გაძლევთ ამის თქმის უფლებას?**

– რა და მე მეგონა, დავით აფრასიძეს კანდიდატურას წამოაყენებდნენ, იმიტომ რომ ეგ პიროვნება პოლიციის აკადემიის რექტორი იყო, მერაბიშვილის დროს.

**— და აფრასიძემ რატომ არ დააყენა თავისი კანდიდატურა?**

– ეს ხომ თევზაძის სურვილზე იყო ყველაფერი, ვისაც ის იტყოდა, იმას დაასახელებდნენ.

**— რამე შეიცვლება უნივერსიტეტში, რა გაკეთდება?**

– არაფერიც არ გაკეთდება. ახლა მზადებაში ვართ, ეგ არჩევნები უნდა გავაუქმოთ. „ფილოსოფოსთა ასოციაცია“ გვაქვს დაარსებული, მართალია, ჯერ „დე ფაქტოა“, მაგრამ მალე „დე იურეც“ იქნება. პროფესორ-მასწავლებლები ვაცხადებთ, რომ ეს იყო არაკანონიერი და არადემოკრატიული არჩევნები, უფრო მეტიც, დემოკრატიის წინააღმდეგ მიმართული, ფალსიფიცირებული და გაყალბებული, ფაქტობრივად. ეს არჩევნები არ იყო, ეს იყო დანიშვნა. წესით, მარტში უნდა ყოფილიყო არჩევა და იჩქარეს, 20 თებერვალს გადმოიტანეს.

**— და ერთკაციანი არჩევნები რას ნიშნავს? ფორმალურად მაინც მიეყვანით ვინმე, მეორე?**

– მეც მაგას ვამბობ, მაგრამ არავის არ შეატანინეს საბუთები. მაგათ შეეშინდათ, იმიტომ, რომ სხვა შეიტანდა არამაგათიანი და ამხელა ხელოვნურად გაზრდილ უნივერსიტეტს დაშლიდა ისევ ისე, როგორც შეაკოწიწეს: ცალკე უნდა იყოს უცხო ენათა სახელმწიფო უნივერსიტეტი, ცალკე უნდა იყოს სულხან-საბა და ცალკე უნდა გამოიყოს ფიზკულტურის აკადემია. ეს უმაღლესები ხომ ხელოვნურად შეიერთეს? ეს არჩევნები, კიდევ ვიმეორებ, მაგათი უსუსურობის დემონსტრაცია მოხდა. ზედანია ძალიან სუსტია, ამ დროს ჯერ თევზაძე რა იყო, და ეგ უარესია. მაგ თევზაძეს კიდევ მამა ეხმარებოდა, თავისი რჩევებით და ამას ვინ მოეხმარება?


გიგა ზედანია

**— თევზაძე მოეხმარება, რადგანაც მისი მოყვანილი კადრია.**

– ზედანია, ფილოსოფოსი ვარო, ამბობს და გაურკვეველი პროფესიისა ამ დროს. ეგ გააპროფესორა თევზაძემ. ყველამ დავინახეთ, რომ თურმე კადრები გიგის არ ჰყოლია. ეგ ეძებდა თავისზე სუსტს, მოეჩვენა, რომ აფრასიძე მასზე ძლიერი იყო, მოეჩვენა, რომ ნოდია უფრო ძლიერი იყო, რომ ჯგერენაია უფრო ძლიერი იყო და ბოლოს შერჩა ეს გიგა ზედანია. ამ დროს ეს არის ყველაზე სუსტი და საცოდავი, ისეთი სუსტია, რომ ვერ გაართმევს თავს და გიგი თევზაძე, ალბათ, კაბინეტში ეჯდება. ვიმეორებ, ამ არჩევნებს არ დავტოვებთ ეგრე.

**— თქვენი სიტყვებიდან გამოდის, რომ კაპიტულაცია მოხდარა ხელისუფლებისა თქვენს უნივერსიტეტთან.**

– ზუსტადაც რომ კაპიტულაცია მოხდა. ამ დღეებში საჩივარი შეგვაქვს, ვასაჩივრებთ ამ გადაწყვეტილებას.

**— თევზაძის დროს რომ იყო პოლიტიზებული, ახლა რა იქნება?**

– ახლაც პოლიტიზებული იქნება, მაგრამ რადგანაც ზედანიას არ აქვს ძალა ასეთი მართვისა, დაეშლებათ უნივერსიტეტი.

**— ზედანია მართლა ასეთი უნიათო იქნება?**

– არც კავშირები აქვს და არც გავლენა და აბა, რას ელოდებით? განწირულია როგორც რექტორი, ისე უნივერსიტეტი დაშლისაკენ.

**— რომ ასაჩივრებთ შედეგებს გავიგე, საბოლოო მიზანი რა გაქვთ?**

– ამ არჩევნებს გავაუქმებთ და უნივერსიტეტს დავშლით.

**— ძალა გეყოფათ საამისოდ?**

– საკმაო ძალაა უნივერსიტეტში.

თამარ ოქრუაშვილი
599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...



## პატრიარქი ებრაელთა ფედერაციის წარმომადგენლებს შეხვდა

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი საპატრიარქოში ჩრდილოეთ ამერიკის ებრაელთა ფედერაციის წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრას დაახლოებით 30-ზე მეტი ებრაული თემის წარმომადგენელი სულიერი ლიდერები, მათ შორის რაბინები ესწრებოდნენ. პატრიარქი მათ ებრაელთა და ქართველთა 26-საუკუნოვანი მეგობრობის შესახებ ესაუბრა.

შეხვედრის მონაწილეები დაინტერესდნენ, როგორია პატრიარქის შეხედულება მეცნიერებისა და რწმენის შესახებ. კათოლიკოს-პატრიარქმა აღნიშნა, რომ რწმენა და მეცნიერება ერთმანეთს ავსებს და არ ეწინააღმდეგება. უწმინდესის თქმით, უმთავრესი არის რწმენა, შემდეგ მეცნიერება და რომ რწმენის მქონე მეცნიერი ღმერთის მეგობარია. კათოლიკოს-პატრიარქმა სტუმრებს საკუთარი საგალობლები მოასმენინა. ასევე, საჩუქრად გადასცა დისკები და წიგნი „საქართველოს ბუნება“. თავის მხრივ, ებრაელმა რაბინებმა პატრიარქს საჩუქარი გადასცეს. (ინტერპრესნიუსი)

## მართვის მოწმობის მსურველები პრაქტიკულ გამოცდას ქალაქის პირობებში ჩააბარებენ




შს სამინისტროს სტრატეგიის დოკუმენტის თანახმად, იგეგმება მართვის მოწმობის მისაღები პრაქტიკული გამოცდის ჩაბარების სისტემის დახვეწა.

„2014 წლიდან უკვე შესაძლებელია მართვის მოწმობის მისაღები პრაქტიკული გამოცდის ჩაბარება ავტომატური გადაცემათა კოლოფის მქონე სატრანსპორტო საშუალებებზე. ასევე შემოღებულ იქნება პრაქტიკული გამოცდის რეალურ მოძრაობაში (ქალაქის პირობებში) ჩაბარება“, – ნათქვამია დოკუმენტში.

ასევე აღნიშნულია, რომ 2014 წელს იგეგმება ახალი ტიპის სანომრე ნიშნების შემოღება, რომელიც თავისი ფორმითა და შინაარსით შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. გარდა ამისა, დაგეგმილია სკოლებში საგზაო ნიშნებისა და მოძრაობის წესების სწავლების დაგეგმვა. (ინტერპრესნიუსი)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



## დღგ-ს გადამხდელი კომპანიების ბრუნვა 16 პროცენტით გაიზარდაო?



საქართველოს ფინანსთა მინისტრ ნოდარ ხადურის განცხადებით, წინასწარი შედეგებით, რომელიც გადამხდელების მიერ დეკლარირებულ მაჩვენებლებს ემყარება, იანვარში დამატებითი ღირებულების გადამხდელი კომპანიების ბრუნვა 16 პროცენტით გაიზარდა.

„ჩვენი წინასწარი მონაცემებით, იანვარში ზრდა იქნება 8 პროცენტი, წინა წლის იანვართან შედარებით. ზრდა ძირითადად გამოწვეულია რამდენიმე დარგში სერიოზული გააქტიურებით, კერძოდ, სოფლის მეურნეობაში თითქმის გაორმაგებული აქტივობაა. ასევე, 43 პროცენტით არის გაზრდილი მშენებლობა. გაზრდილია სატრანსპორტო გადაზიდვებიც. ეს ყველაფერი ჩვენ გვაძლევს საფუძველს, კიდევ ერთხელ დავადასტუროთ, რომ ჩვენი პროგნოზები, რომლებიც გავაკეთეთ 5-პროცენტიან ეკონომიკურ ზრდასთან დაკავშირებით, მინიმუმ, არის კონსერვატიული. ჩვენი პროგრამის შესაბამისად, ეკონომიკური ზრდა უნდა იყოს ინკლუზიური, ანუ ყოვლისმომცველი და საქართველოს თითოეულმა მოქალაქემ უნდა იგრძნოს ამ ზრდის შედეგები“. – განაცხადა ხადურმა. (ინტერპრესნიუსი)

## მთავრობა დამწყები ბიზნესის ხელშეწყობას აპირებს



ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, მეწარმეობის ხელშემწყობი სააგენტოს უმთავრესი მიზანი დამწყები ბიზნესისთვის ხელშეწყობა იქნება.

„ეს იქნება ძირითადად მიმართული იქითკენ, რომ ადგილობრივ წარმოებას შეეწყოს ხელი და საქართველოში ბიზნესს ჰქონდეს საშუალება თანდათანობით მიუახლოვდეს ევროპულ დონეს და როდესაც თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება ამოქმედდება, შემდეგ მათ შეძლონ გათანაბრებულ პირობებში ფუნქციონირება ევროპულ წამყვან კომპანიებთან“, – განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა. მისივე თქმით, ხელშეწყობა ითვალისწინებს როგორც გამოცდილებით დახმარებას, ასევე ტექნიკურ დახმარებას და ასევე, იქნება ფინანსური კომპონენტიც გათვალისწინებული. (ინტერპრესნიუსი)

## პრეზიდენტის პარლამენტში გამოსვლის ფორმატი შეთანხმდა



პრეზიდენტის გამოსვლის ფორმატთან დაკავშირებით შეთანხმება მიღწეულია. პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის განცხადებით:

„შედგა საბოლოო კონსულტაცია უმრავლესობასა და უმცირესობას შორის ფორმატთან დაკავშირებით. ფრაქციები შეჯერდნენ, რომ პრეზიდენტის გამოსვლის შემდეგ გამოცხადდება შესვენება, რომელსაც შემდეგ ფრაქციების გამოსვლით განვაახლებთ, ამასთან ერთად უმცირესობა-უმრავლესობას ექნება 45 წუთი გამოსვლისთვის, რომლის შემდეგ სხდომა გაგრძელდება პარლამენტის თავმჯდომარის გამოსვლით. ასე დავასრულებთ პარლამენტში პოლიტიკურ დებატებს, ეს არის ის გეგმა, რომელზეც შევჯერდით პარლამენტის რეგლამენტიდან გამომდინარე“, – განაცხადა უსუფაშვილმა.

გიორგი მარგველაშვილი პარლამენტში მოხსენებით 21 თებერვალს 14.00 საათზე გამოვა. (ინტერპრესნიუსი)

## პრემიერის სათათბიროების ფუნქციები კანონში აისახება



პრემიერ-მინისტრის სათათბირო ორგანოების – სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოსა და ეკონომიკური საბჭოს ფუნქციები და ამოცანები კანონში აისახება.

კანონპროექტის მიხედვით, სახელმწიფო უსაფრთხოების და კრიზისების მართვის საბჭოს საქმიანობის ინფორმაციულ-ანალიტიკურ და ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ახორციელებს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატი, რომელიც საიდუმლო ინფორმაციაზე მომუშავე განსაკუთრებული რეჟიმის სამსახურს წარმოადგენს. აპარატს ხელმძღვანელობს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს მდივანი, რომელიც სახელმწიფო უსაფრთხოების საკითხებში პრემიერ-მინისტრის თანაშემწეა.

რაც შეეხება ეკონომიკურ საბჭოს, შექმნილია ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური სტრატეგიის დაგეგმარებისა და მათი შემუშავების კოორდინაციის მიზნით. ეკონომიკური საბჭოს საქმიანობასაც უზრუნველყოფს აპარატი, რომელსაც ხელმძღვანელობს მდივანი. ეკონომიკურ საბჭოს მდივანი წარმოადგენს პრემიერ-მინისტრის თანაშემწეს ეკონომიკურ საკითხებში. (ინტერპრესნიუსი)

# საგადასახადომ „ელიტ ელექტრონიქსის“ 2007 წლის საქმიანობაში დარღვევები აღმოაჩინა

ელიტ ელექტრონიქსი
ELIT ELECTRONICS
თიბისი ბანკი
TBC BANK

მედიაში 20 თებერვალს გავრცელდა ინფორმაცია, რომ საგადასახადო სამსახურმა საყოფაცხოვრებო ტექნიკის ქსელ „ელიტ ელექტრონიქსის“ 2007 წლის საქმიანობაში დარღვევები აღმოაჩინა, რის გამოც საგადასახადომ კომპანიას რამდენიმე მილიონიანი ჯარიმა დააკისრა. „ელიტ ელექტრონიქსმა“ საგადასახადოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა, რადგან კომპანია რეაბილიტაციის რეჟიმში იმყოფება და მიიჩნევენ, რომ მასზე ჯარიმები არ უნდა გავრცელდეს.

რაც შეეხება „ელიტ ელექტრონიქსის“ ძველ ხელმძღვანელებს, მათ ამის შესახებ განცხადება ჯერ არ გაუკეთებიათ.

*****

როდესაც საყოფაცხოვრებო ტექნიკის ქსელს პრობლემები შეექმნა (2009 წლიდან), „ელიტ ელექტრონიქსის“ ხელმძღვანელები ბრალს მაშინდელ ხელისუფლებასა და ხელისუფლებასთან დაახლოებულ ბიზნესმენებს სდებდნენ.

კერძოდ, „ელიტ ელექტრონიქსის“ დამფუძნებელი ანზორ ქოქოლაძე აცხადებდა, რომ მათთვის ბიზნესის წართმევა „მიხეილ სააკაშვილის სასამართლოს“ უკანონო გადაწყვეტილებების გამო მოხდა.

თუმცა დღეს, როდესაც ცნობილი გახდა, რომ „ელიტ ელექტრონიქსის“ 2007 წლის საქმიანობაში დარღვევები იყო და ახალი ხელისუფლების სამართლიანმა სასამართლომ კომპანიას ჯარიმა დააკისრა, ქოქოლაძე მედიასთან არ გამოჩენილა და განცხადება არ გაუვრცელებია.

„ელიტ ელექტრონიქსის“ დამფუძნებელი ანზორ ქოქოლაძე წლების განმავლობაში ადანაშაულებდა წინა ხელისუფლების ხელმძღვანელ პირებსა და „თიბისი ბანკს“ მისთვის კომპანიის წართმევაში.




ქოქოლაძე აცხადებდა, რომ „ელიტ ელექტრონიქსს“ 14-წლიანი არსებობის მანძილზე დარღევა არ ჰქონია და ეს მხოლოდ მაშინ მოხდა, როდესაც „ელიტ ელექტრონიქსში“ „თიბისი ბანკის“ მიერ დანიშნული ადამიანები შევიდნენ.

მიუხედავად გაჟღერებული ბრალდებებისა, „ელიტ ელექტრონიქსის“ დამფუძნებელს არასდროს უხსენება ის 2007 წელს არსებული დარღვევა, რომლის გამოც 2014 წლის 20 თებერვალს კომპანიას სასამართლომ რამდენიმემილიონიანი ჯარიმა დააკისრა.

შეგახსენებთ, რომ კომპანია „ელიტ ელექტრონიქსს“ ფინანსური პრობლემები 2009 წლიდან შეექმნა. კომპანიას ოთხი ბანკისგან ჰქონდა აღებული სესხი, რომლის გადახდასაც დათქმულ ვადებში ვერ ახერხებდა.

სესხის დაფარვის გრაფიკის დარღვევის პარალელურად, კომპანიას დაეკისრა 7,5 მილიონი ლარის საგადასახადო დავალიანება, რის გამოც კომპანიის ანგარიშებს საინკასო დავალება დაედო.

კომპანიის დავალიანება 50 მილიონ ლარს შეადგენდა, ხოლო მისი ღირებულება 7 მილიონი იყო – კომპანიას აღარ შესწევდა უნარი, აღებული სესხები დაებრუნებინა.

„ელიტ ელექტრონიქსი“, ფაქტობრივად, გაკოტრებული იყო. ერთადერთი გამოსავალი მდგომარეობდა იმაში, რომ ბანკებს მოეთხოვათ კომპანიის გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყება და დაეყენებინათ იპოთეკით დატვირთული და დაქირავებული ქონების (მათ შორის, ანზორ ქოქოლაძის კუთვნილი აქციების) რეალიზაციის საკითხი, რათა თავისი გაცემული სესხები ნაწილობრივ მაინც დაბრუნებულიყო. სასამართლოს გადაწყვეტილებით, „ელიტ ელექტრონიქსის“ მართვა გადაეცა კრედიტორებისგან შერჩეულ რეაბილიტაციის მმართველს.

2010 წელს „ელიტ ელექტრონიქსში“ „თიბისი ბანკის“ მენეჯმენტი შევიდა.

ბანკმა მოიწვია ისრაელის ერთ-ერთი წამყვანი კომპანია „ბრიმაგი“, რომელმაც თავის თავზე აიღო „ელიტ ელექტრონიქსის“ რეაბილიტაცია და საჭირო ინვესტიციების განხორციელება.

ამჟამად „ელიტ ელექტრონიქსი“ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში წარმოდგენილი 31 მაღაზიით წარმატებით ფუნქციონირებს.

CIAN MAGENTA YELLOW BLACK





# ციხე-კოლონიებიდან ამ ხელისუფლების დროს მიღებულ თანამშრომლებს უშვებენ?

უფლებადამცველმა, „ადამიანის უფლებათა დაცვისა და პატიმართა სოციალური უზრუნველყოფის საერთაშორისო ორგანიზაციის თავმჯდომარემ", გიორგი თევზაძემ, გაავრცელა განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ, როგორც მას აცნობეს, „სასჯელაღსრულების დეპარტამენტში იგეგმება სასჯელაღსრულების დაწესებულებებში დასაქმებულ თანამშრომელთა განთავისუფლებები, და მათ ვაკანტურ სამუშაო ადგილებზე ახალი კადრების დანიშვნა. საუბარია იმ თანამშრომლების განთავისუფლებაზე, რომლებმაც მუშაობა დაიწყეს ახალი ხელისუფლების პერიოდში. თუ აღნიშნული ინფორმაცია რეალობას შეესაბამება, რა კრიტერიუმებითა და მიდგომებით ხელმძღვანელობს სასჯელაღსრულების დეპარტამენტისა და სამინისტროს ხელმძღვანელობა, მით უმეტეს, თურმე სასჯელაღსრულების თანამშრომლებს, კერძოდ, სოციალურ განყოფილებაში მომუშავე პერსონალს შესაძლო განთავისუფლების შესახებ აცნობა დეპარტამენტის წარმომადგენელმა. აღნიშნული ინფორმაცია საჭიროებს შესწავლას და დადასტურების შემთხვევაში, სასჯელთა აღსრულების სამინისტროს ხელმძღვანელობამ უნდა გააკეთოს შესაბამისი კომენტარი. ჩვენი მხრივ, აღნიშნულ მოსალოდნელ პროცესებზე დაწესდება შესაბამისი მონიტორინგი, ინფორმაცია პერიოდულად გასაჯაროვდება უფლებადამცველების მიერ მედიის საშუალებებით. იმედის სამინისტროს ხელმძღვანელობა არ დაუშვებს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მომუშავე პერსონალის უფლებების დარღვევისა და მათი უკანონოთ დათხოვნის ფაქტებს". – აღნიშნულია თევზაძის, მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

**დეტალების დასაზუსტებლად „ალია" გიორგი თევზაძეს დაუკავშირდა:**

**— განცხადებაში აქცენტს აკეთებთ ახალი ხელისუფლების პირობებში მიყვანილი კადრების განთავისუფლებაზე. იქნებ რამე დააშავეს, ან გადაცდომა ჩაიდინეს და გასაშვებები არიან, წინასწარ რატომ ტეხავთ განგაშს?**

– როგორც მე მითხრეს თანამშრომლებმა, იგეგმება მათი გათავისუფლებები ძირითადად სოციალური განყოფილებიდან, მიზეზი ვერ მითხრეს. ამიტომ მივმართავ სასჯელაღსრულების სამინისტროს, გააკეთონ კომენტარი და გაგვარკვიონ, რამდენად გადაწყვეტილია ეს ამბავი. რაც შეეხება სამსახურებრივ გადაცდომას, კონკრეტული ფაქტები ჩემთვის ცნობილი არ არის, რომელიმეს რამე დაეშავებინოს და თუ ასეა, სასჯელაღსრულებამ ეს უნდა თქვას.

„ალია" სასჯელაღსრულების დეპარტამენტში ერთ-ერთ თანამშრომელს დაუკავშირდა, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, რადგან ის მოქმედი თანამშრომელია. მან ინფორმაცია იმის შესახებ, რომ დეპარტამენტში მართლაც საუბრობენ თანამშრომელთა გაშვებაზე, დაგვიდასტურა.

„გიდასტურებთ, სოციალური სამსახურის ყველა თანამშრომელი საუბრობს იმას, რომ ხვალ-ზეგ აქ არ იმუშავებს. კონკრეტული ბრალეულობის საკითხი, ან გადაცდომა თუ დაფიქსირდება, არავინ ხელს არავის დააფარებს, მაგრამ რატომღაც დეპარტამენტის წინა თავმჯდომარის დროს მოსული კადრების უმრავლესობა სწორედ უმიზეზოდ იქნა გაშვებული, ძალიან მცირე მათგანია დარჩენილი და საუბრობენ, რომ მათაც გაუშვებენ, რადგან წინა ხელმძღვანელის დროს მოვიდნენ სამსახურში. ახლა დეპარტამენტში ძირითადად სხვა ძალოვანი სტრუქტურიდან გამოყვანილი კადრები ჰყავთ, რომელიც მართალია, ფიზიკურად ავ თვალს არ ენახვება, მაგრამ წესრიგითა და დისციპლინით გამოირჩევიან, ოღონდ ეს წესრიგი ხშირად რეჟიმში გადადის. სულ „სმირნაზე" დგანან თანამშრომლები. თქვენ იცით, ეს რა ჯოჯოხეთური სტრუქტურაა, რამხელა სულიერ გამძლეობას ითხოვს აქ მუშაობა, მაგრამ ბევრი მართლა ხელფასის გამო მუშაობს, ამიტომ ნებისმიერი სიმკაცრის ამტანები არიან. ისე, რა რეჟიმსაც უძლებდნენ თანამშრომლები, ამასთან შედარებაც არაა. სტრუქტურა ზოგადად ჩაკეტილია და ინფორმაციის არანაირ საჯაროობაზე საუბარი არ არის". – ამბობს წყარო.

**„ალია" კომენტარისთვის სასჯელაღსრულების დეპარტამენტის წარმომადგენელს, თაია მახარაშვილს დაუკავშირდა, რომელმაც აღნიშნული ინფორმაცია არ დაადასტურა და განაცხადა, რომ „მსგავსი ცვლილებები დეპარტამენტში არ იგეგმება".**

ჟანა ასანიძე
558 00 16 16



# „აი-დი“ ბარათის ალტერნატიულ საბუთს დაუშვებენ?




20 თებერვალს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი ალტერნატიული პირადობის მოწმობის შემოღების საკითხს განიხილავდა. პროექტის (100 ათასზე მეტი ხელმოწერა ერთვის) ავტორთა განმარტებით, საქართველოს მაცხოვრებელთა აბსოლუტური უმრავლესობისთვის მიუღებელია საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის „ჩიპიანი ბარათის აღება“.

განხილვა მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც „ნაციონალმა“ დეპუტატმა, ჩიორა თაქთაქიშვილმა განაცხადა, „მე შეურაცხყოფას არ ვაყენებ არავის, რადგან არიან ადამიანები, რომლებსაც სჯერათ, რომ აქვთ უფლება, ჩაქოლონ სხვა რელიგიის წარმომადგენლები. საქართველოს პარლამენტი უნდა ასრულებდეს იმ მოთხოვნებს, რომელიც არის საერთაშორისო სტანდარტებში. ამ კონკრეტულ შემთხვევაში პარლამენტი მიდის იმ ადამიანების კაპრიზებზე, რომლებიც გარკვეული სექტანტური მიმართულებიდან უპირისპირდებიან თვითონ სინოდის გადაწყვეტილებასაცო“, ამას თაქთაქიშვილსა და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელს შორის დაპირისპირება მოჰყვა, რაც მალევე განიმუხტა.

რა ხდებოდა განხილვისას და რა ბედი ეწევა კანონპროექტს?

„ალია“ კომენტარისთვის დაუკავშირდა სხდომის მონაწილეს, „ასი ათას ხელმომწერთა“ ორგანიზაციის ხელმძღვანელს **ზაზა ნანობაშვილს**:

– ჩვენი წერილი შეტანილი იყო პარლამენტში პატრიარქის ლოცვა-კურთხევით და გარდა ამისა, იყო პატარა ჯგუფი, სადაც პარტიის კუთხითაა დაფიქსირებული ხელმოწერები და ეს გელა სალუაშვილის ინიციატივით მოხდა. ჩვენ ერთ აზრს ვიცავდით და კომპეტენტურად ჩამოვაყალიბეთ, რატომ იყო ეს ჩიპიანი მოწმობები ჩვენთვის მიუღებელი და ყველა კონტექსტში განვიხილეთ საკითხი ისე, რომ არ დავუტოვეთ მათ პასუხისთვის საშუალება. მე მანამდე ტელეეკრანიდან ვიცნობდი ჩიორას და ჩიორა თაქთაქიშვილი გადმოვიდა პირდაპირ შეურაცხყოფაზე.

**— რა თქვა ასეთი?**

– რა და მეუფე მოიხსენია აუგად, და საერთოდ, მართლმადიდებლობა აძაგა. ხატები გელანდებათო, ეგ ხატები გაფრინდებაო, გამოფრინდებაო.

**— რა ხატი გაფრინდებაო, ვერ გავიგე?**



– თქვენ ის ხალხი ხართ, ვისაც გჯერათ, რომ ხატები გამოფრინდებაო. ეტყობა, იბერიის ღვთისმშობლის ხატს გულისხმობდა. ჩვენ ავუხსენით, მუზეუმთან რომ ვიყავით, იქ ხატის გაფრენას კი არ ველოდებოდით, 300 ცალი სიწმინდე რომ გააქრო თქვენმა ხელისუფლებამ და დღემდე რომ დაკარგულია ეს სიწმინდეები, მაგას იკვლევს პროკურატურა. ჩიორა ცდილობდა, დაეცინა ჩვენთვის და ამ კუთხით უნდოდა ჩვენი არსი წარმოედგინა. მეუფე იაკობი მოიხსენია ასევე აუგად, ეს ვიღაც მეუფეო რას ამბობსო და ასე. სხვათა შორის, ეკა ბესელიამ ძალიან კორექტული შენიშვნა მისცა და სხვა უფლებადამცველებმაც და ეს გამიხარდა, რომ ამ გოგოს უზრდელობა ყველამ დაინახა. რა კუთხითაც ჩვენ გვინდოდა წასულიყო საკითხი, მასეც მოხდა. ისე, იყო პატარა-პატარა პროვოკაციები, რასაც არ წამოვეგეთ. საქმიანი კუთხით მათ არ ჰქონდათ მტკიცებულება და რელიგიური თვალსაზრისით ჩვენ მათთან არ შევდივართ პოლემიკაში. ჩვენ ვიკითხეთ, რომ იეღოველებს თუკი არ ეკითხებიან სისხლის გადასხმასთან დაკავშირებით, ეს „აიდი“ ბარათები რა გახდა? ეს სახარებასთანაც არის დაკავშირებული და ამიტომ ვფრთხილობთ. ამის საწინააღმდეგოდ ვარავინ ვერ დამარწმუნებს. არსებობს უამრავი ქვეყნის მაგალითი და ვუთხარით, კი, ბატონო, არსებობდეს ეს ბარათები, მაგრამ სახელმწიფომ უნდა დაუშვას ალტერნატიული ვარიანტიც.

**— ვიცი, რომ საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ არის, მაგრამ სიტუაცია საით მიდის, გაითვალისწინებენ თქვენს მოთხოვნას?**

– კი, საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღიათ, უბრალოდ, მოხდა იმის შეფასება, რომ ალტერნატიული ბარათების მოთხოვნას უნდა დაუჭირონ მათ მხარი, ეს არის სამართლიანი მოთხოვნა მოსახლეობის და არ ეწინააღმდეგება არაფერს. ანუ, მოსახლეობა არ დარჩეს საკუთარ ქვეყანაში მოქალაქეობრივი უფლებების გარეშე და არ გაირიყონ ამ საბუთის გამო. ამას, წესით, არაფერი უდგას წინ, იმდენი მაგალითიც მოვუყვანეთ. ჩვენ გარდა, ეკა ბესელიასაც შესწავლილი ჰქონდა ევროპის მაგალითზე და თავადვე დარწმუნდნენ ამაში. გედევან ფოფხაძემაც დასაბუთებული პასუხები გასცა ყველა მათ კითხვას. ისედაც, როცა 100 000 ადამიანი ითხოვს, ეს უნდა იყოს დაკმაყოფილებული და ამის უგულვებელყოფა არ შეიძლება. ზოგიერთისგან პოლიტიკური დასაბუთებაც მოჰყვა ამ საკითხს, მაგრამ მთავარია, ჩვენ მიზანი ერთი გვქონდა და მაგას ვითხოვდით, რომ დაიშვას ალტერნატივა, სხვა არაფერი.

**— იმაზეც იქნებოდა საუბარი, ეს ბარათები არანაირ საფრთხეს არ წარმოადგენსო, არა?**

– კი, უნდათ ადამიანებს დაუმტკიცონ, რომ კონტროლი არ გეხებათ, ჩიპი არ იქნება და ასე შემდეგ. ეს საკითხი ამ მხრივ ევროპაშიც წინ წამოწეული თემაა და ასე იოლად ვერ დაბლოკავენ, თუ ამ ქვეყანაში სამართალი არსებობს.

**»»» თამარ ოქრუაშვილი**

599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ზურაბ ხურციას გარდაცვალების მიზეზი გულის შეტევაა



უკრაინაში საქართველოს მოქალაქის ზურაბ ხურციას გარდაცვალების მიზეზად ექსპერტიზამ გულის შეტევა დაადგინა. უკრაინაში საქართველოს კონსულის, კონსტანტინე საბიაშვილის განცხადებით, ექსპერტიზის დასკვნაში მითითებულია, რომ ზურაბ ხურციას გარდაცვალების მიზეზი იშემიური დაავადება, გულის უკმარისობაა.

„ჩვენთვის ოჯახის წევრებისგან ცნობილი იყო, რომ მას აწუხებდა დიაბეტი, გადატანილი ჰქონდა ინფარქტი და ალბათ, იმ მდგომარეობამ, სადაც ის იმყოფებოდა, გამოიწვია გულის შეტევა“, – აღნიშნა საბიაშვილმა.

მისივე ინფორმაციით, საელჩომ გარდაცვლილის გადასასვენებლად საჭირო პროცედურები უკვე მოამზადა და ახლა ოჯახის გადაწყვეტილებას ელოდება.

„ველოდებით ოჯახის წინადადებას, როდის უნდა მოხდეს მიცვალებულის გადასვენება. ყველაფერი გამზადებულია. დამკრძალავი ბიურო, რომელიც ახორციელებს აეროპორტში მიცვალებულის ტრანსპორტირებას, ელოდება ოჯახის ნებართვას. ჩვენ მზად ვართ, ეს გავაკეთოთ ოჯახის პირველივე ზარის შემდეგ“, – აღნიშნა კონსულმა.

ზურაბ ხურცია კიევში 18 თებერვალს გარდაიცვალა. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## საკრებულოს წევრი ძეგლის გადაღებვას გეგმავს



ქუთაისის საკრებულოს „ნაციონალი“ წევრი გია გოქაძე პრემიერ-მინისტრს მიმართავს და ვასილ კიკვიძის ძეგლის დემონტაჟს ითხოვს. გოქაძის თქმით, მან ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელს შოთა მურღულიას ერთი თვის წინ განცხადებით მიმართა, რომ ძეგლის დემონტაჟი მომხდარიყო, თუმცა პასუხი ამ დრომდე არ მიუღია.

„თუ 23 თებერვლამდე ძეგლის დემონტაჟი არ მოხდება, მე მივალ და წითელი საღებავით შევღებავ ძეგლს. ამ ქალაქში მურღულიას აღარაფერი ეკითხება, ამიტომ ვთხოვ ირაკლი ღარიბაშვილს, მიიღოს გადაწყვეტილება და მოხდეს ვასილ კიკვიძის ძეგლის სასწრაფო დემონტაჟი“, – განაცხადა გია გოქაძემ. (ინტერპრესნიუსი)

## საპატრულო პოლიციაში გურიის სამმართველო შეიქმნება



საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში გურიის მთავარი სამმართველო შეიქმნება. გარდა ამისა, იგეგმება საპატრულო პოლიციის მოქმედების არეალის გაზრდა, კერძოდ კი, მოხდება საპატრულო მარშრუტების დამატება და აუთვისებელი ტერიტორიები დაიფარება. ამას გარდა, განხორციელდება პოლიციის ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ექსპლუატაციაში შევა პოლიციის, მათ შორის საპატრულო პოლიციის ახალი შენობები. (ინტერპრესნიუსი)

## „ნაცმოძრაობა“ თამაზაშვილის დანიშვნას გამოეხმაურა



„ნაციონალური მოძრაობა“ შს აჭარის მთავარი სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე დავით თამაზაშვილის დანიშვნის საკითხს გამოეხმაურა. პარტიის წევრის რაულ თავართქილაძის განცხადებით, ქობულეთელი დავით თამაზაშვილის დანიშვნით „ქართული ოცნება“ წინასაარჩევნოდ რეიტინგის ამაღლებას ცდილობს.

„არჩევნების წინ „ქართულმა ოცნებამ“ ჩაატარა გამოკითხვა. აღმოჩნდა, რომ ქობულეთში დაბალი რეიტინგი აქვთ. რეიტინგის ასამაღლებლად აჭარის მთავარი სამმართველოს უფროსად ქობულეთელი დავით თამაზაშვილი დანიშნეს. თუმცა, იგივეს ვერ ვიტყვით სარფის საბაჟოსა და ბათუმის პროკურატურაში დასაქმებულ საჯარო მოხელეებზე. მათი დიდი ნაწილი ჩამოიყვანეს საქართველოს სხვა რეგიონებიდან, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მათთვის ქირაობენ ბინებს, რაც ქვეყანას ძვირი უჯდება. ეს იმ ფონზე ხდება, როცა აჭარაში გვყავს განათლებული ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ მუშაობა“, – აღნიშნა რაულ თავართქილაძემ. (ინტერპრესნიუსი)

## გზებზე დამატებით რადარები დამონტაჟდება




შს სამინისტროს 2014 წლის სტრატეგიის მიხედვით, საგზაო უსაფრთხოების ზომების გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე დამატებით დამონტაჟდება სიჩქარის მზომი რადარები.

სტრატეგიის პრეზენტაცია ამ წუთებში სასტუმრო „რადისონ ბლუ ივერიაში“ მიმდინარეობს. დოკუმენტის მიხედვით, შესაბამისი უსაფრთხოების ზომების გატარების მიზნით მოხდება საავტომობილო გზების მაღალი რისკის მონაკვეთებზე ე. წ. „შავი წერტილების“ დადგენა. ასევე, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სატვირთო და სამგზავრო სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციების წესების დაცვაზე კონტროლს. ამასთანავე, შსს მონაწილეობას მიიღებს საავტომობილო გზებზე საგზაო ნიშნების განთავსებასა და მონაკვეთების მონიშვნა-მარკირებაში.

ამასთანავე, როგორც დოკუმენტშია აღნიშნული, ასევე, შს სამინისტრო გაატარებს საინფორმაციო კამპანიას საგზაო უსაფრთხოების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მხრივაც და განსაკუთრებით დიდი ყურადღება დაეთმობა საზოგადოების, განსაკუთრებით სკოლის მოსწავლეების ცნობიერების ამაღლებას საგზაო უსაფრთხოების საკითხებში.

სტრატეგიის პრეზენტაციას შს მინისტრი ალექსანდრე ჭიკაიძე სამინისტროს სხვა მაღალჩინოსნები, მთავრობის წევრები და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები ესწრებიან. (ინტერპრესნიუსი)

# რა საიდუმლო შეხვედრა გაიმართა შსს-ში ჟურნალისტების საკითხზე?

**„სახალხო კრების“ ყოფილმა წევრმა, ლაშა ამირეჯიბმა „ფეისბუკზე“ ინფორმაცია გადმომიგზავნა: „შსს-ში გაიმართა დახურული შეხვედრა, რომელიც ჟურნალისტებს ეხებოდა“.**

**ცხადია, ინფორმაციამ დამაინტერესა და ლაშა ამირეჯიბს დავუკავშირდი:**

– ახლა შევიტყვე, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, დაახლოებით სამი კვირის წინ ჩაატარა საიდუმლო თათბირი, სადაც მთავარი საკითხი იყო ჟურნალისტების ე.წ. „რაზრაბოტკაზე“ დაყენება. ზედელაშვილის აზრით, იმ ჟურნალისტებზე, რომლებიც არ თანამშრომლობენ მის უწყებასთან, ანუ სუს-თან, უნდა მოხდეს სისტემატური თვალთვალი და მუდმივი ფარული მიყურადება. საუბარი იყო პრესის და ტელევიზიის 12-მდე ჟურნალისტზე და რამდენიმე გაზეთის რედაქტორზე. ეს არის ძალიან სახიფათო ტენდენცია, ამიტომ მინდა მივმართო პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს, რომ ამ საკითხით დაინტერესდეს.

**— კონკრეტულად რომელ გამოცემებზე იყო საუბარი, ან რომელ ჟურნალისტსა და რედაქტორებზე აპირებენ თვალთვალს, იცით?**

– არა, სამწუხაროდ, ეგ არ ვიცი.

**— საიდუმლო შეხვედრა თუ იყო, თქვენთვის საიდან გახდა ცნობილი, რაზე ისაუბრეს?**

– ეს ზედელაშვილს ჰგონია, რომ მართავს საიდუმლო შეხვედრებს, თორემ სინამდვილეში ბევრი ადამიანისთვის ხდება ცნობილი ასეთი შეხვედრების შესახებ. უახლოეს მომავალში გახმოვანდება კიდევ სხვა ე.წ. საიდუმლო შეხვედრების შესახებ. რაც შეეხება ამ კონკრეტულ თათბირს. როგორც წინა ხელისუფლების დროს, სამწუხაროდ, დღესაც გრძელდება ტენდენცია, როცა რამდენიმე უწყება ერთმანეთს უსმენს. მაგალითად, შინაგან საქმეთა სამინისტროს უსმენს სახელმწიფო უშიშროების სამსახური, უშიშროებას უსმენს ფინანსური პოლიცია, ამათ ორივეს ერთად უსმენს კუდ-ი და ა.შ.

**— საიდუმლო თათბირის შესახებ სხვა დეტალები თუ არის თქვენთვის ცნობილი? მაგალითად ის, თუ ვინ ესწრებოდა ამ თათბირს.**

– რიგითები რომ არ იქნებოდნენ, ცხადია. ასეთ დავალებებს, მით უმეტეს, როდესაც საქმე ჟურნალისტებს ეხება, რიგითებს არ აძლევენ. დავალებებს აძლევენ დეპარტამენტის ხელმძღვანელებს, სამმართველოს უფროსებს, სამმართველოს უფროსის მოადგილეებს.

**— გიორგი ზედელაშვილის დონეზე წყდება ჟურნალისტებისთვის თვალთვალი და მათი „დაევერბოვკება“?**

– ვერ დავიჯერებ, რომ



ირაკლი ღარიბაშვილის ამის საქმის კურსშია. დღეს ძალიან ბევრი რამ ხდება ისე, რომ ის ყველაფრის საქმის კურსში ვერ იქნება. ამიტომაც ვთხოვ ირაკლი ღარიბაშვილს, რომ აიყვანოს პირად კონტროლზე ეს საქმე, რადგან მისი თანაგუნდელების თვითნებური მოქმედებები მის იმიჯსა და რეიტინგს უქმნის საფრთხეს.

**— ხომ არ გეგმავთ პრემიერ-მინისტრთან შეხვედრას და იმ ფაქტებზე საუბარს, რასაც ღიად ბოლომდე არ ამბობთ?**

– ნამდვილად ვაპირებ პრემიერთან შეხვედრას და მივაწვდი ინფორმაციას არა მხოლოდ ამ საიდუმლო შეხვედრების შესახებ, არამედ ბევრი სხვა თემის შესახებ, რომელიც საჭიროა, რომ იცოდეს. მაგალითად, რამდენიმე დღის წინ ირაკლი ბათიაშვილმა გაახმოვანა ის, რასაც მე ძალიან დიდხანს ვლაპარაკობდი პრესის საშუალებით, რომ „რესპუბლიკური პარტია“, ე.წ. ვანო მერაბიშვილის საძმო, რომელიც დარჩენილია შს სამინისტროში და ახლა უკვე პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, ყველაფერს აკეთებენ, რომ ირაკლი ღარიბაშვილის იმიჯი შეილახოს და შეარყიონ. „რესპუბლიკელები“ მუდმივად ცდილობდნენ ღარიბაშვილის პოზიციის შესუსტებას, როგორ ჩანს, ახლა მათ ამაში გიორგი მარგველაშვილიც „ეხმარებათ“. პრემიერის შესუსტებაზე იმუშავებს ვანო მერაბიშვილის დაჯგუფებაც, რომლის შესახებაც „ალიასთან“ ვრცლად ვისაუბრე რამდენიმე ხნის წინ. ეს ჯგუფი დაეხმარება გარკვეულ პოლიტიკურ ძალებს, რომ შესუსტდეს ღარიბაშვილის პოზიციები და გავლენა. მე გიორგი მარგველაშვილი არ მიხსენებია ჩემს ინტერვიუებში, როდესაც პრემიერის პოზიციის შემსუსტებელთა გეგმებზე ვახმოვანებდი ინფორმაციას. როგორც ჩანს, ირაკლი ბათიაშვილს აქვს ინფორმაციები და ამიტომაც გაახმოვანა „რესპუბლიკელებთან“ ერთად მარგველაშვილის გვარიც.

**— ვანო მერაბიშვილის დაჯგუფება რომ არის შსს-ში, აქ ახალი რა არის, რამდენი ხანია ჩვენ ამის შესახებ ვწერთ...**

– სწორედ ამიტომაც, კიდევ ერთხელ მინდა მოვუწოდო ირაკლი ღარიბაშვილს, დაინტერესდეს მედიაში გაჟღერებული ინფორმაციებით და მის იმიჯსა და პოზიციებს ნუ შეასუსტებინებს იმ „თანაგუნდელებს“, რომლებიც რეალურად მისი გაძლიერებით კი არა, დასუსტებით არიან დაკავებული.



**თუ ასეთი შეხვედრა შსს-ში მართლა შედგა და დაევალათ შესაბამის სამსახურებს ცალკეულ ჟურნალისტებსა და რედაქტორებზე მიყურადება და თვალთვალი, მაშინ სასამართლოს დადგენილება უნდა არსებობდეს. თუ დავალება გაიცა და დადგენილება არ არსებობს, არც ესაა პრობლემა, ოპოზიციური პარტიები დიდი ხანია აცხადებენ, რომ ფარული მიყურადება გრძელდება, რადგან „ნაციონალების“ დროინდელი მოსასმენი აპარატურა შსს-ში ისევ არსებობს.**

**„ალია“ კომენტარისთვის დიდხანს უკავშირდებოდა შსს-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს, ნინო გიორგობიანს, მაგრამ არაერთი შეტყობინებისა და ზარის გაგზავნის მიუხედავად, მასთან დაკავშირება ვერ მოხერხდა?**

შორენა გოგოლაძე
599 22 75 27

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ალასანიამ მარგველაშვილს მთავრობის გადაწყვეტილება აცნობა



საქართველოს პრეზიდენტს გიორგი მარგველაშვილს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ ცენტრალურ აფრიკაში ევროკავშირის მიერ წარმოებულ ოპერაციაში საქართველოს შეიარაღებული ძალების ასეულის ჩართვის შესახებ მთავრობის გადაწყვეტილება მოახსენა.

პრეზიდენტის პრესსამსახურის ცნობით, თავდაცვის მინისტრმა საქართველოს პრეზიდენტს მიმართა თხოვნით, კონსტიტუციით დადგენილი წესის თანახმად, მოახდინოს აღნიშნული საკითხის ინიცირება საქართველოს პარლამენტში. (ინტერპრესნიუსი)

## კიბერდანაშაულთან ბრძოლა მთავარი პრიორიტეტი ხდება



საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ კიბერდანაშაულთან დაკავშირებით კანონპროექტი შეიმუშავა. როგორც სტრატეგიაშია ნათქვამი, აუცილებელია, სისხლის სამართლის კოდექსს დაემატოს კიბერსივრცეში ჩადენილ დანაშაულთა შემდგომი კვალიფიკაცია, კერძოდ კი, შს სამინისტროს მიერ შემუშავებულია კანონპროექტი „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების განხორციელების შესახებ“, რომელიც შესაძლებელს გახდის კომპიუტერული სისტემიდან „მიმდინარე მონაცემების“ ამოღებას, ინფორმაციის მატარებლის ფიზიკური ამოღების გარეშე. (ინტერპრესნიუსი)

## „ბათუმის ტრანსპორტის“ დირექტორმა თანამდებობა დატოვა



შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის“ დირექტორმა გიორგი ლორიამ ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარეს თანამდებობიდან გადადგომის თაობაზე განცხადებით მიმართა.

„არ ვეთანხმები გაფიცვაში მონაწილე მძღოლების არც ერთ პრეტენზიას, მათი უსაფუძვლობის გამო. უფრო მეტიც, ისინი იქცნენ გარე ძალების პროვოკაციული განზრახვების შესრულების იარაღად. მიუხედავად ყველაფრისა, არც ერთი თანამდებობა არ ღირს იმად, რომ გაგრძელდეს და გაღვივდეს ხალხის დაპირისპირება და კონფრონტაცია, რის გამოც მივიღე გადაწყვეტილება თანამდებობიდან გადადგომის შესახებ“, – აღნიშნულია გიორგი ლორიას განცხადებაში. (ინტერპრესნიუსი)

# მერაბიშვილი თავის გადარჩენას ინგლისის, საფრანგეთის და გერმანიის კანონებით აპირებს?

20 თებერვალს, 26 მაისის საქმეზე, ვანო მერაბიშვილის პროცესზე ლიტველი ექსპერტი დაიკითხა, რომელმაც განაცხადა, რომ დარბევის დროს იყო გარკვეული შეუსაბამობა მოქმედებასა და სამოქმედო გეგმას შორის, თუმცა, ქუჩები ტაქტიკურად სწორად იყო გადაკეტილი. ევროპული ქვეყნების პრაქტიკაში, მიტინგის დაშლის დროს, პირველ რიგში, წყლის ჭავლი გამოიყენება, შემდეგ – რეზინის ტყვიები და ცრემლსადენი გაზი. 26 მაისის მოვლენების დროს ეს საშუალებები თანმიმდევრულად იყო გამოყენებული. ჩემ მიერ შესწავლილი მასალებიდან ირკვევა, რომ ცალკეული პოლიციელების მხრიდან იყო ძალის გადამეტება, იმავე მასალებით ფიქსირდება მომიტინგეების მხრიდან სახიფათო ქმედებები, არის შემთხვევა, როცა მომიტინგეების კუთვნილი ავტომობილი უხეშად ეჯახება პოლიციელებსო.

ვანო მერაბიშვილმა კი განაცხადა: „დღევანდელმა პროკურატურამ თქვა, რომ ის კანონი და პრაქტიკა, რომელიც არის ინგლისში, ბელგიაში, საფრანგეთში, ლიტვაში არა მარტო კანონი, არამედ პრაქტიკაც არერთხელ გაკეთებული არ შეესაბამება ვენეციის კომისიით გათვლილ ნორმას. დღეს ჩვენ ვის ვასამართლებთ? ვანო მერაბიშვილს თუ ინგლისს, საფრანგეთს, გერმანიას, რომ მათი კანონი და პრაქტიკა არ შეესაბამება ეუთოს მიერ დაფიქსირებულ ერთ-ერთ რეზოლუციას? ბატონებო, ახლა თქვენ ამით აღიარებთ, რომ ტაქტიკა, რომელიც იყო გამოყენებული შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ, პრინციპებს ვგულისხმობ, თუნდაც ისეთი, რომელსაც თქვენ ხატავთ, კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ ეს არ არის იმის თქმა, რომ სრულიად ჩაკეტილი იყო, თუნდაც ყოფილიყო სრულიად ბლოკირებული ამ შემთხვევაშიც იქნებოდა შესაბამისი ინგლისის, გერმანიის, საფრანგეთის სტანდარტებთან. თქვენ მართლა გააკვირვეთ მთელი ევროპა დემოკრატიით, თქვენ დღეს არა მარტო მე მასამართლებთ, რაც უპრეცედენტო შემთხვევაა მთელ მსოფლიოში, თქვენ ასამართლებთ ინგლისის, გერმანიისა და საფრანგეთის მოქმედ პრაქტიკასა და კანონმდებლობას“.



**„ალიას“ ესაუბრება ადვოკატი და უფლებადამცველი გელა ნიკოლაიშვილი:**

**— ექსპერტმა განაცხადა, რომ ცალკეული პოლიციელების მხრიდან იყო ძალის გადამეტება. სახურავზე შემოდებული ცხედრები საერთოდ არ უხსენებია.**

– ექსპერტი დასკვნას აკეთებს იმის მიხედვით, რა ინფორმაციასაც მიაწვდი, თუ ნაწილობრივს მიაწვდი, ნაწილობრივს აკეთებს, თავად არ იცის, რადგან იქ არ ყოფილა 26 მაისს დარბევების დროს.

**— ვანო მერაბიშვილთან ერთ ხმაში რატომ საუბრობდა ექსპერტი. ჩვენ ხომ ვიცით რეალურად რაც მოხდა. გამოდის, ექსპერტმა იცრუა. ამის მოლოდინი არ მაქვს, მაგრამ შეიძლება ეს ექსპერტი ცრუ ჩვენებისთვის დასაჯონ?**

– უცხოელები ასეთი ერთმნიშვნელოვანი პოზიციის არ არიან. ვილაცებს ნახავენ „ნაციონალები“, რომლებიც იმას იტყვიან, რაც უნდათ. თუ ზუსტად მიაწვდიან ინფორმაციას, რა და როგორ მოხდა, ვერავინ იტყვის, რომ ეს მოხდა კანონის ფარგლებში. მოწმეები იმას კი არ უარყოფენ, რომ ძალის გადამეტებას ჰქონდა ადგილი, ისინი ამბობენ, ვანოს ბრძანებით არ მომხდარა ესო. რაც შეეხება ექსპერტის დასჯას, ვერ გეტყვით, საბოლოოდ რა განაჩენს დაადგენს სასამართლო და რას იზამს ბრალდების მხარე. ისე კი, ცრუ ჩვენება ითვალისწინებს 3 წლამდე პატიმრობას.



**როგორია ინგლისის, გერმანიისა და ა.შ. ქვეყნების, ანუ დემოკრატიული სამყაროს ქვეყნების კანონები მიტინგების დაშლასთან დაკავშირებით და რამდენად შესაბამისია მერაბიშვილის მიერ ამ ქვეყნების მაგალითების მოყვანა?**

**„ალიას“ ესაუბრება იურისტი გრიგოლ გაგნიძე:**

– მსოფლიოს დემოკრატიულ ქვეყნებში არსებობს ერთი სქემა, რომ მიტინგის დაშლისას პოლიციამ არ უნდა ჩაკეტოს გასასვლელები, პირიქით, გასვლის საშუალება უნდა მისცეს ხალხს. ჩვენ გვახსოვს მმართველი გუნდის განცხადებები აქციის დაშლამდე, რომ ხალხის სამაგალითოდ დასჯა უნდოდათ. ხელისუფლებამ დარბევის დროს არ უნდა გადაამეტოს ძალას. ამ შემთხვევაში საქართველოს შსს-მ გადაამეტა უფლებამოსილებას და მძიმე პირობებში ჩააგდო ადამიანები, როდესაც ხელბორკილებით, ზოგი ფეხბორკილებით სველ ამინდში ძირს დაყარა. ეს შეიძლება გაუთანაბრდეს წამებასა და არაადამიანურ მდგომარეობაში ადამიანის ჩაგდებას. იმიტომ ვამბობ, „გაუთანაბრდეს“-მეთქი, რომ კვალიფიკაცია გამოძიებამ და დანაშაულს ლეგიტიმაცია სასამართლომ უნდა მისცეს. აქციის დაშლის დროს ხალხს გასასვლელი უნდა მიეცეს, მაგრამ რახან ალყაში გამიზნულად მოაქციეს, დასჯა იყო ჩაფიქრებული, რაც მეტყველებს იმაზე, რომ დაპატიმრებულ ხალხს ბორკილები დაადეს, სველ ასფალტზე დაყარეს და კიდევ მათზე იძალადეს.

არაერთმა დაზარალებულმა და თვითმხილველმა განაცხადა, რომ 26 მაისის აქციაზე გადაამეტა პოლიციამ. ზემდგომის მითითება რომ არ ყოფილიყო, ამას ვერავინ გაბედავდა და თუ გაბედავდა, მკაცრად დაისჯებოდა, ჩვენ კი არ გვახსოვს, რომ ვინმე მკაცრად დაესაჯათ.

ამ საქმეში ცინიზმი არის ის, რომ ბურჯანაძის ხალხს რუსეთის აგენტობას აბრალებდნენ და ბოლოს აღმოჩნდა, რომ აგენტები არავინ იყო იქ და, უბრალოდ, ხალხის დასჯა ჰქონდათ ჩაფიქრებული, რათა მეორე დღეს ალლუმი ჩაეტარებინათ და ამის შემდეგ სხვებს მსგავსი აქციების ჩატარების სურვილი არ გასჩენოდათ.

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

## მთავრობამ სოფლის მხარდაჭერის პროგრამა დაამტკიცა



რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის, დავით ნარმანიას განცხადებით, საქართველოს მთავრობამ სოფლის მხარდაჭერის პროგრამა დაამტკიცა. პროგრამის მოცულობა 50 მილიონი ლარია და მის ფარგლებში გათვალისწინებულია სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტისთვის თანხის გამოყოფა.

„ჩვენი სამინისტროს თანამშრომლები მუნიციპალიტეტებში იმყოფებიან და მიმდინარეობს ტრენინგები სოფლის რწმუნებულებისთვის, რათა პროგრამის სწორად ადმინისტრირება მოხდეს. შემდეგ დაიწყება სოფლის კრებები, რომლის ფარგლებშიც შეგროვდება ინფორმაცია ამა თუ იმ სოფელში აუცილებლად განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესახებ. მოვუწოდებთ სოფლის მოსახლეობას, მაქსიმალურად აქტიურად ჩაერთონ ამ პროცესში, რათა დაფინანსდეს იმ პრობლემების მოგვარება, რაც მათ აწუხებთ თავიანთ სოფლებში“, – განაცხადა ნარმანიამ.

მინისტრი არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სხვა დაინტერესებულ პირებსაც სთხოვს, აქტიურად ჩაერთონ პროგრამის მონიტორინგის პროცესში, რათა ის წარიმართოს ისე, როგორც გათვალისწინებულია. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ბურჯანაძე ღარიბაშვილის განცხადებას ეხმაურება




„დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერს აინტერესებს, რისთვის სჭირდება „ქართულ ოცნებას“ რეგიონული კონფერენციები, თუკი ასეთი უსამართლო საარჩევნო გარემო დატოვეს?

„გასაგებია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები გვიახლოვდება და ცხადია, ყველა პარტია, მათ შორის, „ქართული ოცნება“ ემზადება ამისთვის. ერთი რამ ფაქტია, სრულიად ნათელია ყველასთვის, რომ მმართველმა პარტიამ საქართველოს აბსოლუტურ უმრავლესობას ნამდვილად ვერ გაუმართლა იმედები. ის, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები დღეს ამდენს ბედავენ, ეს არის „ქართული ოცნების“ უსუსურობისა და არ მინდა ვიფიქრო, გარიგების ბრალი. ერთსაც ვიტყვი, თუ საკანონმდებლო ბაზაში არაფრის შეცვლას არ აპირებენ, „ქართულ ოცნებას“ შეუძლია, ძალიან მშვიდად იყოს, რადგან ასეთ შემთხვევებში რეგიონული კონფერენციების ჩატარებისთვის თავს ტყუილად იწუხებენ, მაგრამ მათ ესმით, რომ დღეს კიდევ უფრო სხვა რეალობაა. ჩვენ არ დავუშვებთ არჩევნებით ასეთ მანიპულირებას, ამიტომ მოემზადონ. მომზადება ძალიან კარგი პროცესია. კარგი იქნებოდა, მათ ჰყოფნიდეთ გამბედაობა, შექმნან რეალურად თანასწორი გარემო, სადაც ყველა პარტიას თანასწორი უფლებები ექნება, მაგრამ ამის გამბედაობა, სამწუხაროდ, „ქართულ ოცნებას“ არ ჰყოფნის“, – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ. (პირველი)

## მეთევზეებმა საპროტესტო აქცია გამართეს




ფოთელმა მეთევზეებმა საპროტესტო აქცია გაიმართეს. ისინი ფოთის მერიის ადმინისტრაციულ შენობასთან შეიკრიბნენ და თავიანთი მოთხოვნები და პრეტენზიები დააფიქსირეს. ქართული სეინერების მეპატრონეებს გარემოს დაცვის სამინისტროს მიმართ კონკრეტული მოთხოვნები აქვთ და საკითხების დროულად მოგვარებას ითხოვენ.

მეთევზეების განცხადებით, მუშაობა თურქ მეთევზეებთან არათანაბარ პირობებში უწევთ. მათივე განმარტებით, თურქი მეთევზეები თევზჭერას არასტანდარტული ბადე-იარაღებით ახდენენ, რის გამოც უკვე განადგურდა სანაპირო ზოლის 70%.

„ჩვენ მივწერეთ წერილი გარემოს დაცვის მინისტრს, მაგრამ ეს ყველაფერი რეაგირების გარეშე დარჩა. მიღებული წესდებისა და კანონის თანახმად, უცხო ქვეყნების გემებს კი არ დასდევენ, ჩვენ დაგვდევენ. არის განუკითხაობა, ჩვენ ვითხოვთ აუცილებლად შეხვედრას გარემოს დაცვის მინისტრთან. თუ არ დაკმაყოფილდება ჩვენი მოთხოვნები, ალბათ, მივმართავთ უკიდურეს ზომებს“, – აცხადებს მეთევზეთა კავშირის თავმჯდომარე მურად მიმინოშვილი.

მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში მეთევზეები აქციების გაგრძელებითა და შიმშილობით იმუქრებიან. (ინტერპრესნიუსი)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



## გსურთ, ჭკვიანი შვილი გყავდეთ? ფეხმძიმობის დროს თევზი მიირთვით



მხოლოდ თევზი თუ დაეხმარება ადამიანს, რომ ჭკვიანი შვილები ჰყავდეს – რაც ოკეანეში ცურავს, ყველაფერი უნდა გასინჯოს, წყალქვეშა ნავების გარდა, რასაკვირველია. მაინც, ბირთვული იარაღით არიან აღჭურვილები და მაწყენარი იქნება ნამეტანი...

ჰოდა, იმას ვამბობდით, რომ თუკი მშობლებს სურთ, ჭკვიანი შვილი გაუჩნდეთ, ფეხმძიმობის პერიოდში მომავალი დედიკო თევზს უნდა მიეძალოს.

როგორც კვლევებმა აჩვენა, დედები, რომლებიც რაციონში თევზს ამატებენ, ჭკვიან შვილებს აჩენენ.

ექსპერიმენტში 2 ათასამდე მომავალმა დედიკომ მიიღო მონაწილეობა. ერთი ნაწილი ექიმების მეთვალყურეობით თევზის დიეტაზე დაჯდა, მეორე კი ჩვეულებრივად – ორსულებისთვის არსებული სტანდარტული შეზღუდვებით იკვებებოდა.

სპეციალისტები ფეხმძიმობის მთელ პერიოდს და რაც მთავარია – დაბადებული ბავშვების განვითარებას წლების მანძილზე აკვირდებოდნენ.

ჰოდა, აღმოჩნდა, რომ დედებს, რომლებიც სისტემატურად იკვებებოდნენ თევზეულით, გაცილებით განვითარებული შვილები ჰყავდათ.

ამ მოვლენას ექიმები შემდეგნაირად ხსნიან: ისეთი პროდუქტი, როგორიცაა თევზი ან თევზის ქონი, დიდი რაოდენობით ომეგა-3-ის ცხიმოვან მჟავებს შეიცავს, ნივთიერებას, რომელიც ადამიანის თავის ტვინის უჯრედების ფორმირებაში უდიდეს როლს ასრულებს.

*myjane.ru*

## სოციალური ქსელები ნიკოტინსა და ალკოჰოლზე ძლიერ დამოკიდებულებას იწვევს?

ისე, ინტერნეტი და მით უფრო, სოციალური ქსელები წარსულშიც რომ ყოფილიყო, ფაქტია, აღარც ტომ სოიერი იქნებოდა, აღარც ჰეკლბერი ფინი და აღარც ლიონებერგელი ემილი... რატომ? და იმიტომ, რომ „მიათხავდებოდნენ" ისინიც „ფეისბუქს" ან „ოდნოკლასნიკს" და აბა, ვიღა იმაკვარანცხებდა?



ამერიკელ ფსიქოლოგებს თუ დავუჯერებთ (პრინციპში, რატომაც არ უნდა დავუჯეროთ?), სოციალურ ქსელებს იმაზე მეტი დამოკიდებულების გაჩენა შეუძლია, ვიდრე ალკოჰოლსა და ნიკოტინს.

სპეციალისტებმა ცოტა ხნის წინათ კვლევა ჩაატარეს, რომელშიც 250 ადამიანი იყო ჩართული.

სპეციალური მოწყობილობის დახმარებით, მათ შეძლეს რესპონდენტების სურვილები დაეფიქსირებინათ, რომლებსაც მათი ტვინი დღის მანძილზე წარმოშობდა.

ყველაზე ძლიერი ამ სურვილებს შორის სექსით დაკავების სურვილი აღმოჩნდა; შემდეგ მოდის მოწევის ან სოციალურ ქსელში შესვლის სურვილი, თუმცა მთავარი იცით, რა არის?

„ჩვეულებრივ, ადამიანები მოწევაზე უფრო ადვილად და ხშირად ამბობდნენ უარს, ვიდრე კომპიუტერთან დაჯდომაზე", – ამბობენ ამერიკელი ფსიქოლოგები.

*dr20.ru*

## ცელულიტი გაქვთ? უნდა... გიხაროდეთო



ძალიან, ძალიან, ძალიან რთული წარმოსადგენია სურათი, როცა დილას ამდგარი ქალი სარკეში ჩახედვისას დაჭმუჭნულ კანს ნაზად ეფერება და ბედნიერია, რომ ცელულიტი აქვს...

მართალია, ცელულიტი არც მამაკაცებისთვისაა უცხო ხილი, მაგრამ ქალებისთვის ნამდვილი არმაგედონი რომ არის, ალბათ, დაგვეთანხმებით. მშვენიერი სქესი ყველაფერს აკეთებს, ოღონდაც ეს ტრაგედია აიცილოს თავიდან, თუმცა...

სულაც არაფერია სანერვიულო, ცელულიტი თუ გაგიჩნდათ, უძვირფასესო ქალებო!!!

რატომ? და იმიტომ, რომ, თურმე, ცელულიტი ჯანმრთელი ორგანიზმის ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანი ყოფილა.

ოქსფორდის ენდოკრინოლოგიის, დიაბეტისა და მეტაბოლიზმის ცენტრის სპეციალისტების განმარტებით, ცელულიტი დუნდულებსა და თეძოებზე გულის დაავადებებისა და დიაბეტის პროფილაქტიკაა.

როგორც აღმოჩნდა, ცელულიტს შეუძლია შეიწოვოს ცხიმოვანი მჟავები, რომლებიც ორგანიზმისთვის საფრთხეს წარმოადგენს. ასევე, ცელულიტი შეიცავს ნივთიერებას, რომელიც ანტიანთებით ფუნქციას ასრულებს და ასევე, არტერიებს დახშობის საშუალებას არ აძლევს.

გარდა ამისა, ცხიმოვან ქსოვილებში ხდება სქესობრივი ჰორმონ ესტროგენის ფორმირებაც, რომელიც ქალის ორგანიზმის რეპროდუქციულ ფუნქციაზეა პასუხისმგებელი.

მოკლედ, უძვირფასესო ქალებო, დაიმახსოვრეთ – სილამაზე სულაც არ არის ისეთივე მნიშვნელოვანი, როგორიც ჯანმრთელობაა!..

*24inews.ru*

## ახალი ჯიშის კარტოფილი ჰიპერტონიისა და კიბოს წინააღმდეგ



სამწუხაროდ, ჯერჯერობით, ახალი ჯიშის კარტოფილი მხოლოდ ამერიკაშია ხელმისაწვდომი, თუმცა ისიც მეცნიერებისთვის, რადგან კვლევა-ძიება ჯერ კიდევ არ დასრულებულა.

როგორც ირკვევა, კოლორადოს შტატის უნივერსიტეტის სპეციალისტებმა ახალი ჯიშის კარტოფილი გამოიყვანეს, რომელიც ადამიანს ჰიპერტონიისა და კიბოს წინააღმდეგ ბრძოლაში დაეხმარება.

საინტერესოა, რომ კარტოფილის ქერქი იასამნისფერი შეფერილობისაა, თუმცა ამერიკელების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ გენური ინჟინერიისთვის არ მიუმართავთ.

კარტოფილის ფერის შეცვლა პროდუქტში ანტოციანების შემცველობით აიხსნება, ძლიერი ანტიოქსიდანტებით, რომლებიც უჯრედებს ადრეული დაბერებისგან იცავს.

რამდენადაც ცნობილია, ანტიოქსიდანტები ორგანიზმს კიბოსგანაც იცავს.

მეცნიერები ხაზს უსვამენ, რომ კარტოფილს წამლების შეცვლა არ შეუძლია, თუმცა ჰიპოტენზიური პრეპარატების ზემოქმედებას კი აძლიერებს.

*pronowosti.ru*

## იმუნოსტიმულატორებზე კატეგორიული უარი უნდა თქვათ



არ ღირს, ექიმის რეკომენდაციის გარეშე სხვადასხვა იმუნოსტიმულატორი მიიღოთ, რადგან, როგორც წესი, ეს კარგად არ მთავრდება.

გრიპების ეპიდემიისას, ჩვეულებრივ, ადამიანები ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი იმუნოსტიმულატორი მიიღონ, რადგან ფიქრობენ, რომ მათი მიღებით ორგანიზმს დაცვით ფუნქციებს შეჰმატებენ.

სინამდვილეში, როგორც სპეციალისტები განმარტავენ, ზიანს უფრო მეტს იღებენ ასეთი ადამიანები, ვიდრე დადებით შედეგს.

საქმე ის არის, რომ ნებისმიერი ადამიანის ორგანიზმი — ჯანმრთელის თუ ავადმყოფის — ინდივიდუალურია. შესაბამისად, ასეთივე უნდა იყოს მიდგომა მკურნალობის თვალსაზრისითაც.

„წინააღმდეგ შემთხვევაში, ადამიანი იმდენად დიდ უკუჩვენებას მიიღებს, შესაძლოა, შველა დაგვიანებულიც კი აღმოჩნდეს", – ამბობენ სპეციალისტები.

*medkarta.com*

## 9 წლის ამერიკელ გოგონას 6 ორგანო გადაუნერგეს



ბოსტონის ჰოსპიტლის ქირურგებმა პატარა პაციენტს კუჭი, ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, ნაწლავები, საყლაპავი მილის ნაწილი და კუჭქვეშა ჯირკვალი შეუცვალეს.

ურთულესმა ოპერაციამ ერთდროულად ორი რეკორდი დაამყარა — იგი პირველი გახდა ამერიკაში, როცა ერთ ადამიანს ამდენი ორგანო გადაუნერგეს და პირველი გახდა მსოფლიოში, როცა ადამიანს საყლაპავი მილი გადაენერგა.

9 წლის ალანაჰ შევენელს ჯანმრთელობის პრობლემები 2008 წელს დაეწყო, როცა, სულ რაღაც, 5 წლის იყო — ჯერ სიცხეები მისცა, შემდეგ წონა დაკარგა, მუცელი კი გაუსივდა.

სამწუხაროდ, სულ მალე ექიმებმა პატარას მუცელში სიმსივნე აღმოაჩინეს, რომელიც მართალია, ორჯერ ამოკვეთეს, თუმცა ბოლომდე მაინც ვერ დაამარცხეს — იგი ორგანოდან ორგანოზე ძალიან სწრაფად გადადიოდა.

„მას იშვიათი ფორმის სარკომა დაუდგინდა და ქიმიოთერაპია თითქმის არ შველოდა", – ყვება გოგონას ბებია, დები სკოლასი.

რაც უფრო მეტი დრო გადიოდა, ბავშვს მით უფრო მეტი ორგანო უავადდებოდა. და მხოლოდ 2012 წელს მოხერხდა მისთვის დონორის პოვნა, ოპერაციის შედეგად გადარჩენის შანსი კი 50 პროცენტიც არ იყო. მშობლებმა მაინც გარისკეს და, საბედნიეროდ, ახლა უკვე ბავშვი თავს უკეთ გრძნობს, ხოლო როგორც ექიმები ამბობენ, პაციენტის მდგომარეობა სულ უფრო უმჯობესდება და აქვს შანსი, სრულფასოვანი ადამიანივით იცხოვროს.

*lifenews.ru*

## მუსიკას ტვინის დაბერების შეჩერება შეუძლია



სასიამოვნოსთან ერთად სასარგებლო შეიძლება გახდეს მუსიკის მოსმენა და ეს კარგა ხანია, მეცნიერებმა შესანიშნავად იციან. მათ ბევრჯერ უთქვამთ, რომ მუსიკა მშვენიერი საშუალებაა ფსიქოლოგიური განტვირთვისთვის, შეუძლია მეხსიერების გაუმჯობესებაც, თუმცა ტვინის დაბერებასაც თუ ამუხრუჭებდა, სულ ახლა გახდა ცნობილი.

ნეირონები, რომლებიც ხმის გადაცემა-დამუშავებაზე აგებენ პასუხს, მოხუც მუსიკოსებშიც ისეთივე სიჩქარითა და სიზუსტით მუშაობენ, როგორც ახალგაზრდებში, რომლებიც მუსიკით არ არიან გატაცებულები.

სწორედ ამ მოვლენამ დააინტერესა სპეციალისტები და კვლევების შედეგად დადგინდა, რომ ადამიანს ტვინის გაწვრთნის უნიკალური შანსი აქვს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში საუბარია ნეირონებზე, რომლებიც, როგორც უკვე გითხარით, ხმის გადაცემა-დამუშავებაზე აგებენ პასუხს. ჰოდა, მუსიკის წყალობით, როგორღაც, სწორედ მათი გაძლიერება ხდება, რაც, საბოლოო ჯამში, არაერთი დადებითი შედეგის მომტანია.

*tainamira.ru*

მოამზადა მიხეილ სახვაძემ

1. სპორტული ნაგებობა
2. ფეხბურთელი ... ადამიანი
3. „კუკა-რაჩა“ ... ვილი
4. მაზ/ფ სატრფოსათვის"
5. მზიანი
6. მსოფლიოს ერთ-ერთი საოცრება ... შუშურა
7. მორბენალი ფრინველი
8. ოპერა ... დალაკი"
9. კომპოზიტორი ... ბალანჩივაძე
10. იტალიელი კომპოზიტორი
11. ბედი
12. ლორენი ფილმში „ფორნარინა ...“
13. წნევის საზომი ხელსაწყო
14. მცენარე ... მეი
15. ცხვარი
16. მსახიობი ... ალისა
17. დაწინდული შეყვარებული
18. ზღვა იტალიასთან
19. მინაგრუნტი
20. მსახიობი ... პოლტორი
21. თევზის კვერცხები
22. მხატვარი ... ოგიუსტ
23. მწერი სამზარეულოში
24. დიზაინერი კრისტიან ...
25. რაიმეს წრიული მოძრაობა
26. თევზის ზეთიანი
27. ლომული ილიას ქვეში
28. ქვები ტროტუარის გასწვრივ
29. ფეხბურთელი ფილიპო ... ინზაღი
30. ცხვირის ნაწილი
31. მზის ამოსვლა
32. მუსიკოსი ... გილესპი
33. ... თავისი კუდით მოიცავს
34. მოდელი ... მაკფერსონი
35. „მე შენთან ვრჩები“ პერსონაჟი
36. ... ბულბულ ოღლი
37. სიმებიანი საკრავი
38. რძის პროდუქტი
39. ოსური ცეკვა
40. წისქვილის ქვა
41. კუბის დედაქალაქი
42. მარილიანი სითხე კანზე
43. მდინარე სამხ. ამერიკაში
44. მსახიობი ... კასტრო
45. მსახიობი ... პანა
46. ხელოვნური ენა
47. მსახიობი ... ოლივიერი
48. „ბარსელონის“ მეკარე
49. მსახიობი ჯულიეტა
50. ეგვიპტის მეფე ქველდ
51. ბიჭი ზეთი მამაკარი კარტოფილი
52. მსახიობი ... არქანი
53. ლაჟი
54. მწერალი თეოდორ ...
55. თეატრის ფიცარნაგი
56. კინორეჟისორი რიკარდ ფილმში „... ბერგამოდან“
57. მუსიკალური მარშა
58. მდინარის თევზი
59. კონსტანტინე გამსახურდიას მოთხრობა
60. ავტორიტეტი ცხვარი პიესა
61. ნახევრად ... კოზი
62. მსახიობი ... დოლფ
63. მსახიობი გოგი ...
64. დედოფლის გუდამაქარი ... ბერი
65. მწერალი ... იაშვილი
66. კომპოზიტორი ... ქვრივი
67. მოსამსახურე
68. „ვერ დაიჭირავს“
69. მოკლე კაბა
70. მსახიობი ... თურმანი
71. ქანდაკება პირამიდებთან
72. ქალაქი შოტლანდიაში
73. სანტოს საფეხბურთო ფორვარდი
74. სათხილამურო ადგილი
75. სატურნის თანამგზავრი
76. მომღერალი ... ჯამბა
77. ნაგვის ასალები
78. პერსონაჟი ... გრატა
79. ფრინველი ანტარქტიდაზე
80. ცურვის ჯიში
81. მსახიობი ... გრეტა
82. მეწარმე ... ლალიძე (მედალდ)
83. ფრანგული ნაბიჯი
84. ქართ. ფრანგული მოცეკვავე
85. მსახიობი ჟერარ ...
86. საცხენოსნო არენა
87. ქვეყნის ბიბლიური დასახელება
88. ... ძელური
89. სასუფრო ნაწილი
90. ხის მწერი
91. პოეტი ... ასათიანი
92. ქსოვილის სახეობა
93. ვიტამინი
94. ოპერა ... ავეტი
95. გვიმა მოძრავი კიბე
96. მთრიმლავი ნივთიერება
97. ქვეყნის საზომი ზომა
98. თევზების სპეციალისტი
99. ნავი
100. შიშის მუშაობის ნიმუში
101. ნიანგის სახეობა
102. ფეხბურთის ბაზილი
103. ცხოვრების კვალი ქსოვილში
104. გაცილებით ცვალი
105. თეატრის კულისები
106. იტალიის დედაქალაქი
107. მსახიობი ... ჯენორია
108. ბაღის ლოგისტიკის კალათი
109. ცეცხლი გამოცემა კარადა
110. ცეცხლის ენა
111. პატარა მოძრავი კიბე
112. მსახიობი ... რიჩარდი
113. დადებითი ელექტროდი
114. ქართ. თბილისური მიმართვა
115. ძიძა
116. უნგრელი კომპოზიტორი
117. ფრანგი ... ნიუტონი
118. მსახიობი ... მანფრედი
119. „ოქროს“ კონსტანტინე
120. ქართველი ფეხბურთელი გოლკიპერი
121. ძველი ლითონი
122. ჩრდ. ამერიკული ხიბლი
123. მწერალი ... ქაქტაძე
124. „... ქუხილამდე“
125. „მეც ვიცნობ“
126. მეტყველების ორგანო
127. მდინარე ციმბირში
128. უძველესი მიმი
129. პირადი
130. მზის ამოსვლის ქვეყნებში
131. მომღერალი ... კუტურნო
132. მსახიობი ... პერი
133. ტელეწამყვანი მარიო ...
134. მომღერალი ... მეფარიძე
135. მსახიობი ფუნიფერ ...
136. ქართ. ეპოსის გმირი
137. ლამბარი
138. არგენტინის კოროლი
139. ბოლო წერტილი ყვითელი სიკვდილი
140. ლეზგინის ქვეყნი





# სკანვორდი

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1.მხ/ფ „... ჭაბუკი“
2.მომღერალი თამარ ...
3.ცხენების სადგომი
4.ძვ. ხალხური დასარტყ. საკრავი
5.კონტინენტი
6.ვერნ. „კაპიტან ... შვილები“
7.შენობის ლითონის ჩონჩხი
8.პოლონური ფულის ერთეული
9.... ბაბაჯანიანი
10.მსახიობი ... ჟირარდო
11.საბრძოლო იარაღი
12.მახრჩობელა გველი ამაზონში
13.რეჟისორი ... არაუ
14.ებრაელების იმიგრაციის პროცესი
15.ჩვენი პლანეტა
16.ფორმანის ფილმი მოცარტზე
17.მსახიობი ... ბესინჯერი
18.დაღესტნური სოფელი
19.მწუხარე სახის ...
20.ქვეყნიერების დასასრული
21.1000კგ
22.ღვთიმსახური ქალი
23.სლავური ანბანი
24.მოსამართლის მოსასხამი
25.მხატვარი კლოდ ...
26.წყალსაცავი. ჩაედინება მტკვარი
27.გიტარის მავთული
28.მცენარე. ხდიან ტეკილას
29.სოფელი ოზურგეთის რაიონში
30.ძაღლის ჯიში
31.ირანის დედაქალაქი
32.ძაღლის ჯიში
33.ამინდის წინასწარი გათვლა
34.მსახიობი ... კეიტელი
35.მიმართვა იაპონელი მამაკაცისადმი
36.მწერალი ... ქიაჩელი
37.ღმერთი სკანდინავ. მითებში
38.დისნეის ქალთევზა
39.ფეხბურთელი ნიკოლა ...
40.ტყის სული წვეტიანი ყურებით
41.„... რაიანის გადასარჩენად“
42.მსახიობი ... ფაინსი
43.პატარა არია
44.ქრისტიანთა წმინდა თასი
45.დედამიწის გუმბათი
46.მსახ. ... ბერიკაშვილი
47.მომღერალი ... კუტუნიო
48.მომღერალი ... მატიე
49.რევოლუციური მუშათა კლასი
50.ძვირფასი ლითონი
51.ყაზახეთის დედაქალაქი
52.... ვენახი მეჭამა
53.ქალაქი რაჭაში
54.9 მაისს ქანთარიამ აქ დროშა აღმართა
55.ბედი
56.პოეტი ... მირცხულავა
57.მდინარე საფრანგეთში
58.... პაჩინო
59.გამის ნოტი
60.„ოცი წლის შემდეგ“ კარდინალი
61.მზის ღმერთი ეგვიპტეში
62.სიმინდის ყვავილედი
63.მუსლიმანთა წმინდა ქალაქი
64.კუდიანი ვარსკვლავი
65.ავტოსაგზაო შემთხვევა
66.იაზონის გემი
67.ლუდის მასალა
68.ხელოვნური ენა
69.გეიშა მონაფე
70.... ფაბრიცი
71.თათარაში ამოვლებული ნიგვზები
72.მდინარე გერმანიაში
73.მტაცებელი ცხოველი სავანაში
74.ჰარი პოტერის ავტორი
75.მხატვარი ედგარ ...
76.... ბურთი და ... მოედანი
77.„ჩვენი ეზო“ ... ვასასი
78.დაბა თბილისის შემოგარენში
79.ჩუქურთმა
80.აბრეშუმის მტკიცე ქსოვილი
81.ზღვის ფრინველი
82.სირაქლემას სახეობა
83.გადაშენებული ფრინველი
84.კომპოზიტორი ... კალმანი
85.მექსიკელის ფერმა
86.მსახიობი ჟან ...
87.მტაცებელი კატისებრ. ოჯახიდან
88.ტრაგედიის მუზა
89.პალმის კაკალი
90.ფარდაგი
91.შენ ... მიირ-თვი, მებაღეს რას დაეძებ
92.ბრინჯაო
93.ვრცელი ველები ჩრდ. ამერიკაში
94.მონღოლი დიდებული
95.ფასდაკლება
96.პორტუგალიის დედაქალაქი
97.…-დე-ჟანეირო
98.თავის ჩონჩხი
99.ფეოდალი შუა საუკუნეებში
100.... ევდოშვილი
101.საომარი მოქმედებების ხაზი
102.ის, ვისაც დაბადების დღე აქვს
103.კეთილი საქმე
104.სამიანი ნარდში
105.მოგებული პარტია ნარდში
106.…-კლარჯეთი
107.ხაფანგი ფრინველებისათვის
108.კაენის ძმა
109.მოთიბული გამხმარი ბალახი
110.ბოჭკოვანი მცენარე
111.რეჟისორი გაი ...
112.ვირას საპირისპირო ბრძანება
113.ბრაზილიელი ფეხბურთელი
114.სათევზაო მოწყობილობა
115.ის, ვინც ნალებს აჭედებს
116.დოლარის მეასედი
117.სათავსი შენობის საძირკველში
118.მსახ. ... გოძიაშვილი
119.მოლაქლაქე, ანუ ...
120.მსახიობი ... რივზი
121.სწრაფად გათამაშებული პარტია ჭადრაკში
122.ნიშნავს ჩირქოვანს
123.პარკოსანი მცენარე
124.ტენორი ... ლანცა
125.მამალი კვიცი
126.თმა, ბეწვი
127.ძალიან დიდი ტალღა
128.აგენტი 007
129.მხარე დას. საქართ.
130.ჩუქჩების სახლი
131.ძროხის ნაშიერი
132.ტელეკოშკი
133.თვითნასწავლი მხატვრობა
134.მტაცებელი ფრინველის ფრენა
135.სანელებელი
136.თანხმობის ფორმა
137.მხ/ფ „ეშმაკი და ... მცნება“
138.მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვა
139.ერთაოზის მამა
140.ბოსტნეულით ვაჭრობის ადგილი
141.... ჩიბურდანიძე
142.მტაცებელი ფრინველი
143.... მურიმეცი
144.ფრანგი მხატვარი
145.რას უჩნდება კარიესი



პასუხები: 1. საბუდარელი; 2. გვერდწითელი; 3. ავლა; 4. დიპლიპიტო; 5. აზია; 6. გრანტის; 7. კარკასი; 8. ზლოტი; 9. არნო; 10. ანი; 11. ზარბაზანი; 12. ანაკონდა; 13. ალფონსო; 14. ალია; 15. დედამიწა; 16. ‘ამადეუსი“; 17. კიმ; 18. აული; 19. რაინდი; 20. აპოკალიფსი; 21. ტონა; 22. მონაზონი; 23. კირილიცა; 24. მანტია; 25. მონე; 26. მინგეჩაური; 27. სიმი; 28. აგავა; 29. ნასაკირალი; 30. როტვეილერი; 31. თეირანი; 32. სეტერი; 33. პროგნოზი; 34. ჰარვი; 35. სან; 36. ლეო; 37. ოდინი; 38. არიელი; 39. ანელკა; 40. ელფი; 41. რიგითი; 42. რალფ; 43. არიოზო; 44. გრაალი; 45. ცა; 46. გივი; 47. ტოტო; 48. მირეი; 49. პროლეტარიატი; 50. ოქრო; 51. ასტანა; 52. თხა; 53. ონი; 54. რაიხსტაგი; 55. სვე; 56. ალიო; 57. ლუარა; 58. ალ; 59. ლა; 60. მაზარინი; 61. რა; 62. ტარო; 63. მექა; 64. კომეტა; 65. ავარია; 66. ‘არგო“; 67. ალაო; 68. იდო; 69. მაიკო. 70. ალდო; 71. ჩურჩხელა; 72. რაინი; 73. აფთარი; 74. როულინგი; 75. დეგა; 76. ჰა; 77. დეიდა; 78. კოჯორი; 79. ორნამენტი; 80. ფარჩა; 81. თოლია; 82. ნანდუ; 83. მოა; 84. იმრე; 85. რანჩო; 86. რენო; 87. ჯიქი; 88. მელპომენე; 89. ქოქოსი; 90. ხალიჩა; 91. ხილი; 92. რვალი; 93. პრერია; 94. ნოინი; 95. სეილი; 96. ლისაბონი; 97. რიო; 98. ქალა; 99. ვასალი; 100. იროდიონ; 101. ფრონტი; 102. იუბილარი; 103. მადლი; 104. სე; 105. ოინი; 106. ტაო; 107. კაკანათი; 108. აბელი; 109. თივა; 110. სელი; 111. რიჩი; 112. მაინა; 113. კაკა; 114. ბადე; 115. ნალბანდი; 116. ცენტი; 117. სარდაფი; 118. ვასო; 119. ყბედი; 120. რივზი; 121. ბლიცი; 122. პიო; 123. მუხუდო; 124. მარიო; 125. ურა; 126. ბალანი; 127. ცუნამი; 128. ბონდი; 129. იმერეთი; 130. იარანგი; 131. ხბო; 132. ანძა; 133. ნაივი; 134. ირაო; 135. დაფნა; 136. კი; 137. ათი; 138. ზმნა; 139. მიზანა; 140. ბაზარი; 141. მაია.; 142. მიმინო; 143. ილია; 144. მილე; 145. კბილი. იკითხება: ბრედ პიტი. ანჯელინა ჯოლი.

## მეზობლების ლატარიაში მოგებამ შურიანი ჰოლანდიელი სასამართლოში გააქცია



„შურიანი“ ნამდვილად არასაკმარისი ეპითეტია ისეთი ადამიანის შესაფასებლად, რომელმაც სასამართლოში სარჩელი მხოლოდ იმის გამო შეიტანა, რომ მეზობლების ლატარიაში გამარჯვებამ გონება დააკარგვინა, ამ სიტყვის ყველაზე პირდაპირი გაგებით. გონების დაკარგვას კი ტვინის შერყევა მოჰყვა და მოკლედ, სულ მთლად გადაირია ავი და ქოფაკი ჰოლანდიელი...

სასამართლოში შეტანილი სარჩელი შემდეგნაირადაა ფორმულირებული: „მოვითხოვ კომპენსაციას იმ მორალური ზიანის ასანაზღაურებლად, რომელიც ჰელენ დე გირის ოჯახის ლატარიაში მოგების გამო განვიცადე“.

საინტერესოა, რომ „დაზარალებული“ კომპენსაციას ლატარიის ორგანიზატორებისგანაც მოითხოვს, რადგან მათ „ემოციურ შანტაჟში“ ადანაშაულებს.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო, რთული სათქმელია თუნდაც იმიტომ, რომ სარჩელი წარმოებაში მიიღო, რაზეც გონიერი ადამიანი, წესით, არ უნდა დასთანხმებულიყო.

რაც შეეხება იღბლიან ჰოლანდიელს, ჰელენ დე გირს, მან ლატარიაში 14 მილიონი ევრო მოიგო და მეზობლის სარჩელს მხოლოდ ღიმილით შეხვდა, თუმცა ისიც აღნიშნა, რომ პრინციპის გულისთვის მას „ერთ კაპიკსაც“ არ მისცემს.

მოკლედ, მეზობლების სადღეგრძელოს დალევის სურვილი სულ მთლად წაგვიხდა, რა!

***etotupo.ru***

## იდეალურია ცოლი, რომელიც გემრიელ კერძებს ამზადებს და... მაგრად ჩხუბობს



ახლა, მჭადის გამოცხობა და ლობიოს ამოზელა კი უნდა იცოდეს გათხოვილმა კი არა, გასათხოვარ-გაუთხოვარმა ქალმაც, მაგრამ, როგორ ფიქრობთ, საკმარისია მხოლოდ ეს თვისებები იმისთვის, რომ მან იდეალური ცოლის სტატუსი მიიღოს? თქვენ წარმოიდგინეთ, არა!

ალნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, კვლევა ბრიტანელმა მეცნიერებმა ჩაატარეს და აღმოაჩინეს, რომ ბოლო 50 წლის მანძილზე კონკრეტულ შეხედულებებს ცვლილებები განუცდია, თანაც, რადიკალური!



კერძოდ, მკვლევარებმა დაადგინეს, რომ მართალია, პირველ რიგში, მამაკაცების გულამდე უმოკლესი გზა კვლავაც კუჭის გავლით გადის, თუმცა დღეს უკვე ძლიერი სქესი უპირატესობას ანიჭებს ისეთ ქალებს, რომელთაც შეუძლიათ, არ დაეთანხმონ და არ შეეპუონ თავიანთი მეორე ნახევრების მოსაზრებას. სწორედ შეუპოვრობას და „ხურდის დაბრუნების“ უნარს აფასებს, თურმე, გამოკითხული მამაკაცების 59 პროცენტი და აღნიშნავს, რომ ორმხრივ ურთიერთობებში ეს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პირობაა.

გარდა ამისა, ბრიტანელი მამაკაცების 69 პროცენტი კმაყოფილი იქნებოდა, თუკი პასუხისმგებლობას ოჯახის ბიუჯეტის განკარგვაზე ცოლს გადააბარებდა.

რამ მიიყვანა ბრიტანელი მამაკაცების უმრავლესობა ასეთ უცნაურ აზრამდე, აბა, ჩვენ რა ვიცით...

***factroom.ru***

## ამერიკელებმა შიზოფრენია დაამარცხეს?



არანაკლებ შესაცოდია ის, ვისაც შიზოფრენიკებთან უწევს ურთიერთობა, ვიდრე თავად შიზოფრენიის მსხვერპლი, ალბათ, დაგვეთანხმებით...

ასეა თუ ისე, გენეტიკური მუტაცია, რომელიც შიზოფრენიას უკავშირდება, არცთუ იშვიათი მოვლენაა და როგორც კოლუმბიის უნივერსიტეტის სპეციალისტებმა დაადგინეს, მისი გაჩენის მიზეზი მეხსიერებაზე პასუხისმგებელ თავის ტვინის ორ სფეროს: ჰიპოკამპსა და წინაფრონტარულ ქერქს შორის კავშირის გაწყვეტა ხდება.

ამერიკელი მეცნიერების ინფორმაციით, მათი აღმოჩენა შესაძლებელს გახდის შემუშავდეს ისეთი პროგრესირებადი თერაპია, რომელიც შიზოფრენიით დაავადებულ ადამიანებს სრულად განკურნავს.

– ამ დროისთვის უკვე არსებობს კონკრეტული მონახაზი, რომლის გამოცდები ადამიანებზე უახლოეს მომავალში დაიწყება, – ამბობენ კოლუმბიის უნივერსიტეტის სპეციალისტები, თუმცა თერაპიის თავისებურებების შესახებ ინფორმაციას კვლავ საიდუმლოდ ტოვებენ.

***myjane.ru***

## მობილური ტელეფონი თავის ტვინის გადახურებასაც იწვევს?



მობილური ტელეფონის მიერ ადამიანის ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის საკითხთან დაკავშირებული მორიგი სამეცნიერო კვლევის შედეგების თანახმად, რომლის ავტორები ამ შემთხვევაში, ბელგიელი მეცნიერები არიან, ცნობილი გახდა, რომ აპარატი, თურმე, თავის ტვინის გადახურებას იწვევს.

კერძოდ, უარყოფითი გავლენა პირველ რიგში, უდიდეს დარტყმას თავის ტვინის ქერქს აყენებს და მას 1 გრადუსამდე აცხელებს.

ბელგიელი მეცნიერების განმარტებით, განსაკუთრებით საშიშია მობილურ ტელეფონზე ხანგრძლივი საუბრები, რადგან დასხივება ამ დროს მთელი ძალებით მუშაობს და ტვინის გადახურებაც უსწრაფესი ტემპებით მიმდინარეობს. რაც შეეხება შედეგს, ყველაზე მინიმუმ, ადამიანს ქრონიკული თავის ტკივილები, გონების ხშირი დაკარგვა, მეხსიერების ჩავარდნები და კიდევ უამრავი უსიამოვნება დასჩემდება.

უფრო მეტიც, ბელგიელებმა ისიც დაადგინეს, რომ ევროპის მოქალაქეების როგორც მინიმუმ, 3 პროცენტს მაინც აღენიშნება ე.წ. „ჰიპერელექტრომგრძნობელობა“, რაც იმას ნიშნავს, რომ ასეთი ადამიანების ორგანიზმი ზედმეტად მგრძნობიარე ხდება ელექტრომაგნიტური ველების მიმართ და ამდენად, დამატებითი დასხივების მსხვერპლნი ხდებიან.

***medkarta.com***

## განქორწინების მიზეზი... ლობიო გახდა



მოდით, ერთად გავიხსენოთ ლობიოს ყველაზე ცნობილი დადებითი თვისებები, რომლებიც არცთუ შორეულ წარსულში ანეკდოტად იყო ქცეული: მუცელს აძღობს (უკაცრავად ამ სიტყვისთვის), ბავშვებს ართობს და ლოგინს ათბობს...

ჰოდა, ამ ყველა „სიკეთესთან“ ერთად, ლობიოს ერთი ძალიან უცნაური და უსიამოვნო ახალი თვისებაც გამოუვლინდა: ოჯახის დანგრევის უნარი...

ეს უცნაური შემთხვევა ქაიროში მოხდა: ადგილობრივი უნივერსიტეტის ლექტორს, ვინმე ამინ ზახერს ვერაფრით უთქვამს უარი საყვარელ კერძზე – ლობიოზე. თურმე, ფაქტობრივად, ყოველდღე, ის სახლში მისვლამდე რესტორანში შეივლიდა ხოლმე და ლობიოს გემოზე შეექცეოდა. ერთი თვე უთმინა ზახერს ცოლმა, ორი, სამი, ოთხი და საბოლოო ჯამში, ახლად შექმნილი ოჯახის დანგრევამდე მისულა:

– ლობიო ხომ ღარიბების საჭმელია. ყოველდღე ნაირ-ნაირ კერძებს ვახვედრებდი, ის კი ლობიოთი გამოტიკნული მოდიოდა. მე მდიდარი ოჯახის შვილი ვარ და ვერ ავიტან, ჩემი ქმარი სულ ლობიოს ჭამდეს, – ასე უმართლებია თავი ამინ ზახერის მეუღლეს სასამართლოზე.

და არ გაინტერესებთ, რა უთქვამს უნივერსიტეტის ლექტორს?

– კი, ძალიან მიყვარს ცოლი, მაგრამ ლობიოზე უარს ვერ ვიტყვი, მირჩევნია, ოჯახი დავანგრიო...

დიდხანს ეხვეწა მოსამართლე, ასეთი უაზრობის გამო ნუ დაშორდებით ერთმანეთსო, მაგრამ ცოლ-ქმარმა გადაწყვეტილება აღარ შეიცვალა.

ისე, ქაიროს საშინელ სიცხეებს თუ გავითვალისწინებთ და ლობიოს ზემომოყვანილ თვისებებიდან ერთ-ერთს: „საწოლს ათბობს“, ცოლის პოზიცია სავსებით გასაგებია. აბა, იმას ხომ არ იტყოდა საცოდავი ქალი, მუდმივად მუცელშემობერილ ქმართან ველარ ვსუნთქავო? ჰოდა, მოიგონა რაღაც უაზრო მიზეზი.

***mainfun.ru***

## სუპერმენზე შექმნილი პირველი კომიქსი რეკორდულ ფასად გაიყიდა




ზუსტად 1,5 მილიონი აშშ დოლარი გადაიხადა უცნობმა კოლექციონერმა 1938 წელს გამოცემულ კომიქსში, რომელიც ამერიკელების საყვარელ პერსონაჟზე – სუპერმენზე შეიქმნა.

საინტერესოა, რომ, როცა 1938 წლის ივნისში „ექშენ კომიქსის“ სერია დახლებზე გამოჩნდა, ის სულ რაღაც... 10 ცენტი ღირდა!

სულ რამდენ ეგზემპლარად გამოიცა პირველი კომიქსი სუპერმენზე, ან რამდენია შემორჩენილი დღემდე, სამწუხაროდ, არ ზუსტდება, თუმცა ის კი ცნობილია, რომ ერთ-ერთი მათგანი მიმდინარე წლის თებერვლის ბოლოს 1 მილიონ აშშ დოლარად გაიყიდა.

ამერიკელი ბიბლიოგრაფების საოცნებო საპილოტე ნომრის ყდაზე აღბეჭდილია ტრადიციულ სამოსში გამოწყობილი სუპერმენი, რომელსაც ხელში მწვანე ფერის ავტომობილი უკავია. დასასრულ, გეტყვით იმასაც, რომ სულ რამდენიმე თვის წინ უცნობმა კოლექციონერმა ასევე საკმაოდ ცნობილ პერსონაჟზე – ბეტმენზე შექმნილ კომიქსში თითქმის 1,6 მილიონი აშშ დოლარი გადაიხადა.

***factroom.ru***

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03



– ადამიანები, რომლებიც „ელესდეს“ მოიხმარენ, სულ მალე წონას კარგავენ – აბა, როგორია, რამე მოძებნო მაცივარში, რომელსაც დრაკონი იცავს?!

*****

სასტუმროს ადმინისტრატორი კლიენტებს:

– თუ არ დამიმტკიცეთ, რომ ეს ქალბატონი თქვენი ცოლია, ვერ შეგიშვებთ.

– შენ შემოგევლე, თუ შეძელი და დაამტკიცე, რომ ეს ქალბატონი ჩემი ცოლი არ არის, ამ სიკეთეს სიკვდილამდე არ დაგივიწყებ!!!

*****

კოტე სამსახურში თვალჩალურჯებული მივიდა. თანამშრომლებმა, რა თქმა უნდა, მიზეზი ჰკითხეს:

– ცოლმა შემომარტყა.

– რატომ?

– შენობით მივმართე და...

– რა სისულელეა, აბა, ცოლს როგორ უნდა ელაპარაკო?!

– მოკლედ, საქმე ასე იყო: ვწევართ ლოგინში. უცბად ამბობს: „რამდენი ხანია, ჩვენი სექსუალური ცხოვრება ერთ ადგილზე გაიყინა...“ მე კი ვუპასუხე: „ჩვენი კი არა, შენი“...

*****

სიტუაცია სოფელში. დედამთილი რძალს ეკითხება:

– საქონელს აჭამე უკვე?

– არა, ჯერ ისევ სძინავს თქვენს ვაჟს...

*****

– ყველაზე ეფექტური მალვიძარა – ზარია სამსახურიდან, სიტყვებით: „სად აგდიხარ?!“

*****



პუტინი და მედვედევი აფთიაქში შევიდნენ. პუტინი აფთიაქარს:

– ორი განდონი...

– ვხედავ, ბატონო... და რამის ყიდვასაც აპირებთ?

***მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები***

ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## შიდსის დამარცხებას ბანანის დახმარებით შეეცდებიან



ცილას, რომელსაც ჩვეულებრივი ბანანი შეიცავს, როგორც აღმოჩნდა, იმ ბაქტერიების დამარცხება შეძლებია, რომელიც შიდსის გაჩენას უწყობს ხელს, რაც იმას ნიშნავს, რომ ბანანი ამ საშინელი დაავადების მუტაციის მექანიზმებსაც დაამარცხებს.

აღნიშნული მიგნების ავტორები მიჩიგანელი მეცნიერები არიან, რომლებმაც კვლევის ფარგლებში დაადგინეს, რომ შიდავაგინალური პრეპარატები, რომელიც ბანანის საფუძველზე მზადდება, მართლაც შესანიშნავი თვისებებით გამოირჩევა და შეუძლია შეუჩერებელი მუტაციების დარღვევა, რომელიც ვირუსთან ბრძოლას ართულებს.

სპეციალისტების განმარტებით, ასეთივე ეფექტის მიღება ამ დრომდე მხოლოდ ძვირადღირებული მედიკამენტების დახმარებით ხერხდება, ახლა კი, როცა ბანანში ლექტინების კლასის ცილებია აღმოჩენილი, მკურნალობა გაცილებით იაფი დაჯდება. ამასთანავე, თუკი ბანანიდან ამოღებული ცილები უკვე არსებულ პრეპარატებზე თუნდაც 60 პროცენტით ეფექტური აღმოჩნდება (პროგნოზები გაცილებით საიმედოა), 3 წლის მანძილზე შიდსისგან მინიმუმ 500 ათასი ადამიანის გადარჩენა იქნება შესაძლებელი, რაც ძალიან სერიოზული მიღწევაა.

***medkarta.com***

## დაკარგული ნივთების ძებნაზე ადამიანი სიცოცხლის ერთ წელს ხარჯავს




აბა, გამოტყდით, რამდენჯერ გდებიათ გასაღები, ან სხვა საგანი ცხვირწინ და ვერც კი შეგიმჩნევიათ? ბევრჯერ, ხო? ასეა, ნამდვილად და, როგორც სპეციალისტებმა გამოიკვლიეს, მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ადამიანი წვრილმანი ნივთების ძებნას ერთ წელს ანდომებს.

მეცნიერების ინფორმაციით, დღეში საშუალოდ 20 წუთი იკარგება მობილური ტელეფონის, ტელევიზორის პულტის, სიგარეტის, სანთებელის მოძიებაში, მაგრამ ყველაზე ხშირად თურმე მაინც ავტომობილის გასაღები იკარგება, რასაც გამოკითხული ადამიანების 45 პროცენტი აღიარებს და შეხვედრებზე დაგვიანებას სწორედ ამ მიზეზით ხსნის.

ავტომობილის გასაღებს მოსდევს მობილური ტელეფონი. ყოველი მესამე ამბობს, რომ ის ტელეფონს დღეში დაახლოებით 5-7-ჯერ მაინც კარგავს.

ყველაზე უარყოფითად ადამიანი ტელევიზორის პულტის დაკარგვაზე რეაგირებს, ვინაიდან ის იძულებულია, ადგეს სავარძლიდან ან დივნიდან, სადაც ძალიან კომფორტულად გრძობდა თავს და ეძებოს ეს ოხერი პულტი.

მოკლედ, თუ უფრო ყურადღებით იქნებით, შესაძლებელი იქნება, ისედაც ხანმოკლე სიცოცხლე უმნიშვნელო ნივთების ძებნას არ შეალიოთ.

***factroom.ru***

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

**„ალია“ და „ქრონიკა“ აცხადებს კონკურსს ტექნიკური რედაქტორის თანამდებობაზე. აუცილებელია დიზაინის, Page Maker-ის, CorelDraw-ის, Photoshop-ის და Adobe Acrobat Professional-ის პროფესიონალურ დონეზე ცოდნა. დეტალების გასარკვევად დაგვიკავშირდით: 577777436.**

გაზეთი ალია

სამუშაოდ იწვევს სააგენტოების ინფორმაციებზე მუშაობის გამოცდილების მქონე ჟურნალისტს

*ტელეფონი:* 577 74-99-89 თამაზ ბესტავაშვილი

## ჰოროსკოპი

***ვერძი 21.03-21.04***

**21 თებერვალი:** დღეს თქვენთვის მთავარი ფასეულობა ფული იქნება. მზად იყავით საიმისოდ, რომ სერიოზული ფინანსური საკითხების მოგვარება მოგიწევთ.

***კურო 22.04-21.05***

**21 თებერვალი:** დღეს ამბიციების დავიწყება და დახმარების ან გადავადების თხოვნა მოგიწევთ, წინააღმდეგ შემთხვევაში საქმეს ვერ გაუმკლავდებით.

***ტყუპები 22.05-21.06***

**21 თებერვალი:** სავარაუდოდ, დღეს დაიწყება იმის ასრულება, რისი იმედიც დიდი ხანია გაქვთ.

***კირჩხიბი 22.06-22.07***

**21 თებერვალი:** მთავარი პრობლემა შეიძლება თქვენმა მეგობარმა შეგიქმნათ. ის ძალიან არის დაინტერესებული იმის მიღებით, რაც სურს და საკუთარ მოქმედებებს ვერ აკონტროლებს. უსიამოვნებებისგან მისი დაცვა მოგიწევთ.

***ლომი 23.07-22.08***

**21 თებერვალი:** ყველაზე კარგად თავს იმ შემთხვევაში იგრძნობთ, თუ განმარტოვდებით, მაგრამ საეჭვოა, ეს გამოგივიდეთ. ზედმეტი ხმაურისგან მაინც დაიზღვიეთ თავი.

***ქალწული 23.08-22.09***

**21 თებერვალი:** მოდუნდით და სიამოვნება მიიღეთ. ყველაფერი ადვილად გამოგივათ, ზედმეტი ძალისხმევის გარეშე.

***სასწორი 23.09-22.10***

**21 თებერვალი:** თუ დღეს წვრილმან, თუნდაც მნიშვნელოვან საკითხებში ქექვას დაიწყებთ, არის ალბათობა, რომ თავად საკითხების არსში ვერ გაერკვეთ. იქნებ უცხო თვალით შეგეხედათ სიტუაციისთვის.

***მორიელი 23.10-21.11***

**21 თებერვალი:** შეეცადეთ, სიტუაციას ჩასწვდეთ და ამ შემთხვევაში მასთან ადაპტაციას შეძლებთ, აღარც კორექტივების შეტანა დაგჭირდებათ და ნაკლებ ენერგიასაც დახარჯავთ.

***მშვილდოსანი 22.11-21.12***

**21 თებერვალი:** თქვენი ამბიციები წვრილმანი მიზნების დასახვის უფლებას არ მოგცემთ. თქვენი ოცნების ობიექტი, მინიმუმ, ძნელად მისაღწევი იქნება, უფრო მეტად კი – არარეალური.

***თხის რქა 22.12-19.01***

**21 თებერვალი:** შეეცადეთ, წვრილმანების მიმართ ყურადღება გამოიჩინოთ. ეს თქვენს წინსვლას საგრძნობად შეაფერხებს, სამაგიეროდ, მომავალში შედეგს მოგიტანს.

***მერწყული 20.01-18.02***

**21 თებერვალი:** შეგიძლიათ, სინდისის ქენჯნის გარეშე მიჰყვეთ დინებას. ნებისმიერ შემთხვევაში დინება იქ მიგიყვანთ, სადაც გსურთ.

***თევზები 19.02-20.03***

**21 თებერვალი:** ფრთხილად იყავით. დიდია ალბათობა, რომ შეუფერებელ მომენტში რაღაც უსიამოვნებაში მოხვდეთ. თქვენს გარშემო მყოფთა შორის შეიძლება ძალიან მგრძნობიარე ადამიანები აღმოჩნდნენ.

## ვარსკვლავები, რომლებმაც ყველას თავი მოაბეზრეს



დაუსრულებელი სკანდალები, უაზრო გამოხტომები, წუწუნი და პრეტენზიები – ეს გახლავთ მხოლოდ ძალიან მცირე ჩამონათვალი იმ მიზეზებისა, რომელთა გამოც, „ჩვეულებრივ მოკვდავებს“ ცნობილი ადამიანების დანახვაც კი აღარ სურთ.

როგორც ირკვევა, საკმაოდ არასასიამოვნო რეიტინგი ამერიკული კომპანია „ეპულ მარკეტ რისერჩის“ ინიციატივით მომზადდა, გამოკითხვაში კი რამდენიმე ათასმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა.

რეიტინგის შედეგით, პირველ რიგში, პარის ჰილტონი დამწუხრდება, რადგან როგორც აღმოჩნდა, ის ყველაზე მეტად მომაბეზრებელ ვარსკვლავად დასახელდა.




მეორე ადგილზეა სკანდალურად ცნობილი მსახიობი, ლინდსი ლოჰანი, რომელიც ხან თავის მოკვლას ცდილობს და არ გამოსდის, ხან გემოზე გამომთვრალი რესტორნებსა და ღამის კლუბებში ხმაურიან სკანდალებს ტეხს.

მესამე და მეოთხე ადგილები ფაშფაშა მკერდიანმა პამელა ანდერსონმა და მსახიობმა და მომღერალმა ნიკოლ რიჩიმ გადაინაწილეს, რომელსაც ხშირად პარის ჰილტონს ადარებენ, რადგან უცნაური სკანდალები, როგორც წესი, არც მას აკლია ხოლმე.

მეხუთე პოზიციაზეა მერი-კეიტ ოლსენი, მეექვსეზე კი რეიტინგის ერთადერთი მონაწილე მამაკაცი ტომ კრუზი, უფრო სწორედ, მისი სულელური ღიმილი.

***myjane.ru***

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



– ბატონო აბრამ, რატომ გსურთ ქვეყნის დატოვება, რა არ მოგწონთ?

– რა არ მომწონს და ჰომოსექსუალიზმთან თქვენი დამოკიდებულება!

– ჰო, მაგრამ რატომ?

– კაცო, სტალინის დროს ამის გამო ხვრეტდნენ, ბრეჟნევის დროს – იძულებულით მკურნალობდნენ, ახლა კი ჰომოსექსუალიზმი ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ჰოდა, მინდა წავიდე ამ ქვეყნიდან იქამდე, სანამ ეს სავალდებულო არ გამხდარა, გასაგებია?!

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“

»211359457

დამფუძნებელი
გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212033 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაჭავაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

ტექნიკური რედაქტორი
ბადრი ქევანიშვილი

**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
21 21 80 ან 233 20 06
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
® დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი 30-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge
გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 02.22